ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 21 მაისი, 2018 №118 (7663) ფასი: 50 თეთრი

ლელა წურწუმიას კონცერტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 32.000 ლარით დააფინანსეს

გვ.5

18 მაისიდან ვიქტორ სუვოროვი ასვარიუმი

ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

„ვილაცას გახარია ჩაძირვა უნდოდა“

დავით ლორთქიფანიძე: „ჩვენი ხელისუფლების ვალდებულებაა, საზოგადოებაში გაჩენილ ყველა კითხვას პასუხი გასცეს“

გვ.3

გვ.4

სოსო ცინცაძე: „რუსეთისთვის დღეს საქართველოს მიმართულება პრიორიტეტი არ არის“

გვ.7

ინგა გრიგოლია: „მოძალადე მემუქრება, რომ თუ არ დავუბრუნებ ქონებას, სახლის კარს შემომიმტვრევს“

დოდო გუგეშაშვილი ს მინისტრთან შეხვედრას ითხოვს

გვ.2

სამართალი გვ.4

ბარბარე რაფალიანცის საქმის სკანდალური დეტალები

„პროკურორმა სუბელიანმა დანაშაული დაფარა“

„კურიერი“ სკანდალურ კადრებს ასაჯაროებს გვ.3

სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავა

გვ.4

ეკონომიკა

მდიდრები ოფშორებს ტოვებენ — სად და რატომ გადაადგილდება მულტიმილიონერების კაპიტალი?

რა უჯდებათ საქართველოში დიეტა და სწორი კვება

გვ.6

სურსათის სააგენტომ თურქეთის რამდენიმე საწარმოდან ფრინველის ხორცის იმპორტი აკრძალა

ISSN 1987-9385

8 გროზნო: თავდასხმა მართლმადიდებლურ ტაძარზე

2 მიხეილ სააკაშვილი: „სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი მონაცემები ივანიშვილის ბრძანებით გააყალბეს!“

5 აფხაზეთის საზოგადოება ახალი სამხედრო ძალის შექმნას ეწინააღმდეგება

7 ანა დოლიძე დიმიტრი გვრიტიშვილს დღეს სასამართლოში უჩივლებს

გიორგი მარგველაშვილი: „ჩვენ ვცხოვრობთ აბსოლუტურად სერიალის მდგომარეობაში, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე ამბობს, რომ პრეზიდენტი კორუმპირებულია“

– ჩვენ ვცხოვრობთ აბსოლუტურად სერიალის მდგომარეობაში, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე ამბობს, რომ პრეზიდენტი კორუმპირებულია და აბა პრეზიდენტმა უპასუხოს! – ამ რეალობაში გვინდა, რომ ხალხი გავართოთ.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ტელეკომპანია „იბერიის“ გადაცემაში „დიალოგი ლუბა ელიაშვილთან“ საუბრისას განაცხადა.

როგორც გიორგი მარგველაშვილმა განმარტა, უცხოელი პარტნიორებისთვის რთული გასაგებია, როცა პარლამენტის თავმჯდომარე ამბობს, რომ პრეზიდენტი კორუმპირებულია და ამას არ მოჰყვება შესაბამისი რეაგირება.

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ მსგავსი განცხადებები ემსახურება „ხალხისთვის სანახაობის შექმნას“.

– რა ხდება ამ პოლიტიკურ ცხოვრებაში? – რაღაცა თემის „აგდება“ ხდება, მაგალითად, „პრეზიდენტმა საქართველო უნდა მიჰყიდოს პუტინს“. ამის ირგვლივ ხდება დატვირთვა. მე ან ინდურ სერიალს უნდა ვუყურო, ან – თურქულს, ან – ქართულს, სადაც პოლიტიკოსების „ქასთინგია“ და ასეთ თემებზე საუბრობენ. ეს თავისთავად, პრობლემურია.

იყო რამდენიმე მინიშნება თუნდაც 26 მაისის დელეგაციების ჩამომსვლელების მხრიდან, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ რომ თქვა, პრეზიდენტი კორუმპირებულია, რას ნიშნავს ეს? იმიტომ, რომ ძნელი გასაგებია ჩვენი პარტნიორებისთვის, რანაირად შეიძლება, პარლამენტის თავმჯდომარემ – არა მეათეხარისხოვანმა მოლაპარაკე თავმა, არამედ პარლამენტის თავმჯდომარემ ქვეყნის პრეზიდენტს დასდოს ბრალად კორუფცია და ამას არაფერი მოჰყვეს. მე ხომ ვითხოვდი, რომ წავიდეს პროკურატურაში ან რაღაცა ქნას. ეს ხომ სერიალის ნაწილია, ამაზე უნდა გადაგვეგორებინა ერთი კვირა, ამაზე უნდა გვესაუბრა, რომ ხალხს, რომელსაც ვერ ვთავაზობთ ვერაფერს – ვერც სამუშაო ადგილს, ვერც ეკონომიკურ წინსვლას, ვერც პროდუქტს ვუიაფებთ, მოდით, ეს ხალხი რაღაცით გავართოთ – სანახაობით, რომ აი, პარლამენტის თავმჯდომარემ პრეზიდენტზე თქვა, კორუმპირებულიაო.

ეს რომ არ არის რეალური პოლიტიკა, ნათლად ჩანს, რადგან გადავდივართ არარეალურ თემებზე. რეალური პოლიტიკა სამუშაო ადგილშია, რეალური პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის მეტ გახსნაშია, რეალური პოლიტიკა საქართველოს ინტერესის წინ წაწევაშია. ბევრი თემებია, რაც რეალური პოლიტიკა შეიძლება იყოს, მაგრამ როდესაც შენ ვერაფერს ვერ აკეთებ, შენ ხომ საღამო რაღაცით უნდა დაუტვირთო ტელემაყურებელს. რაღაცას რეალურს რომ ვერ აძლევ, სანახაობა ხომ უნდა მისცე, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი შეწყალების უფლების ბოროტად გამოყენებაში დააადანაშაულა.

კობახიძემ პატიმართა შეწყალების მხრივ სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტის გამოცდილებაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ „პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ ჩამოყალიბებულ პრაქტიკას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი საფუძველი: უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, კორუფცია და სამართალდამცავი სისტემის მიზანმიმართული ნგრევა“.

❖ ❖ ❖

– საქართველოს შემთხვევაში ვითარება არის შემდეგში, რუსეთის ნაბიჯები ჩვენ მიმართ არის თავიდან ბოლომდე შეცდომა რუსული სახელმწიფოსთვის, რომელიც რამ გამოიწვია და როგორ გამოიწვია, მაგრამ რუსული სახელმწიფოს შეცდომა არის არა 8-ში, 12-ში თუ ასე შემდეგ, ეს შეცდომა დაიწყო თავიდანვე 90-იან წლებში, როდესაც ქაოტურ მდგომარეობაში მყოფმა რუსულმა სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ საქართველოში უნდა გაეტარებინა აგრესიული პოლიტიკა, ეს შეცდომა არც ერთ ეტაპზე არ იქნა გამოსწორებული. ჩვენი მიზანი არის ის, რომ ამ დამოკიდებულებამ არ შეაჩეროს ჩვენი ევროპული და ევროატლანტიკური განვითარება. ჩვენ თუ დაგვაჯერებენ, რომ ვერ ამოვვარდებით რუსული გავლენის სფეროდან, ეს კეთდება მენტალობაზე თავდასხმით, მაშინ ჩვენ მნიშვნელოვან წილად უკან დავიხევთ, ჩვენ უნდა გვჯეროდეს, რომ ეს უსამართლობა, რომელიც განხორციელდა ჩვენ მიმართ, ჩვენ ამას გადავტეხავთ. მეორე რისიც უნდა გვჯეროდეს, ბევრად უფრო უარეს ისტორიულ პერიოდებში ვყოფილვართ და გაგვიტანია ჩვენი თავი.

პროპაგანდა, ერთის მეორესთან დაპირისპირება, გახლეჩა და ამ გახლეჩაზე მუშაობა, ხორციელდებოდა 90-იანებში, მაშინ ვუძლებდით ამას და პროპაგანდას ვუძლებთ. იმის მერე, რაც რუსეთის იმპერიის ნაწილი გავხდით, ქართველ საზოგადოებას გააჩნია დიდი სიმტკიცე ჩვენი ეროვნულობის შენარჩუნების. ჩვენ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სახელმწიფო ვართ და ამ დაპირისპირების ბოლომდე მიყვანა ადამიანის ტვინში გადის, რომ არ დავუშვათ, რომ რამენაირად წავაგებთ, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილი: „სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი მონაცემები ივანიშვილის ბრძანებით გააყალბეს!“

ივანიშვილის დიდი თაღლითობა! რამდენიმე დღის წინ მისი ბრძანებით გააყალბეს სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი მონაცემები!

ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილი ფეისბუქის გვერდზე ვიდეომიმართვაში საუბრობს.

– ჩემი განცხადებიდან ორ დღეში საქსტატში გაჩნდა ძველი და ახალი ციფრები, – აცხადებს მიხეილ სააკაშვილი და კონკრეტული მაგალითები მოჰყავთ. სააკაშვილი ამბობს, რომ ოფიციალური მონაცემები, რომელიც მას ხელთ აქვს, საქსტატის მიერ შეგნებულად იქნა შეცვლილი და 2003 წლის შემდეგ, სადაც მოსახლეობის მატება ფიქსირდებოდა, იქ კლებაა მითითებული.

– ივანიშვილი ბოღმით სკდება, რომ ინვესტიციები იყო ჩვენ დროს ბევრი და ახალი ციფრი გააკეთა და 2007 წელს როცა რეკორდული მაჩვენებელი გვქონდა ინვესტიციების 2 მილიარდ 100 მილიონი, ივანიშვილის მაჩვენებლით, ვხედავთ, რომ შემცირდა 500 მილიონით... ივანიშვილი გვპარავს ჩვენ ისტორიას, მას სურს შეცვალოს და გამოცვალოს მეხსიერების ჩიპი, მაგრამ კომპიუტერი ინახავს ყველა ინფორმაციას. ივანიშვილის ხელისუფლება შეიცვლება და ამ მტრების მიერ დადგმულ ამაზრზენ პროექტს დაესმევა წერტილი. მე მინდა გავაფრთხილო ეკონომიკის მინისტრი და საქსტატის ხელმძღვანელი და ის თანამშრომლები, ვინც ამის გაყალბებაში მონაწილეობდნენ – შეწყვიტეთ ეს დანაშაულებრივი ქმედება, რადგან თქვენც აგებთ პასუხს ამ დანაშაულზე, შეწყვიტეთ ხალხის დაბოლება და მოტყუება, რადგან ამაზე ყველას მოგეკითხებათ პასუხი, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ოკუპანტებმა გალში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

15 მაისს, გალში საოკუპაციო რეჟიმმა საქართველოს მოქალაქე, ქუთაისში მცხოვრები ალექსანდრე ნაცვლიშვილი დააკავა. ამის შესახებ ინფორმაციას ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. მისი ინფორმაციით, ნაცვლიშვილს საზღვრის უკანონო გადაკვეთა ბრალდება. აქვე გამოქვეყნებულია მისი ფოტოსურათიც.

ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. დაკავებული წინასწარი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ადასტურებენ. უწყების ცნობით, ამოქმედებულია „ცხელი ხაზი“ და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები ინფორმირებული არიან.

დოდო გუგეშაშვილი შს მინისტრთან შეხვედრას ითხოვს

დოდო გუგეშაშვილი შს მინისტრთან შეხვედრას ითხოვს, როგორც თადარიგის პოლკოვნიკი აცხადებს, მას აქვს გარკვეული ინფორმაცია მისი შვილის მკვლელობის საქმეზე, რომლის მიწოდებაც გახარიასთვის სურს.

გუგეშაშვილმა ჯერ კიდევ ორი თვის წინ „ნიუპოსტთან“ განაცხადა, რომ გამოძიებამ სახლში მესამე პირის დნმ-ის კვალი აღმოაჩინა. დოდო გუგეშაშვილი ფიქრობს, რომ მკვლელობის საქმე გიორგი გახარიამ პირად კონტროლზე უნდა აიყვანოს.

ამჯერად თადარიგის პოლკოვნიკი ამბობს, რომ გარკვეული სამუშაოები მის ადვოკატთან ერთად უკვე ჩაატარა, სჭირდება კიდევ 10 დღე და მინისტრს დეტალურად წარუდგენენ მათ მიერ მოძიებულ დეტალებს.

– გავარკვიეთ საგამოძიებო ორგანოსთან შეუთანხმებლად, გვაქვს ჩვენი ვარაუდები. 10 სამუშაო დღე გვჭირდება რაღაც გარემოებასთან დაკავშირებით მე და ჩემს ადვოკატს და ამის შემდეგ უკვე ბატონი გახარია შეგვიძლია ჩავაყენოთ საქმის კურსში, – აცხადებს გუგეშაშვილი.

„ნიუპოსტი“ გუგეშაშვილს დაუკავშირდა. მისი თქმით, „ახალი ინფორმაცია მისი ოჯახის ტრაგედიას უკავშირდება“.

– 10 დღე მჭირდება, მერე მინისტრს კიდევ ერთხელ მივმართავთ. ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით, – ამბობს გუგეშაშვილი.

საქართველოში 11.000-მდე აივ/შიდსით დაავადებული ცხოვრობს – წელს 270 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ინფორმაციით, საქართველოში წელს აივ/შიდსის 270 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. აღნიშნული მონაცემი 30-ით აღემატება გასული წლის მონაცემებს. აივ/შიდსის მქონეთა რიცხვი გაცილებით მეტია. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ადგილობრივ ექსპერტთა ვარაუდით, საქართველოში რეალურად 11.000-მდე აივ/შიდსით დაავადებული ცხოვრობს. გასულ წელთან შედარებით, მონაცემები გაზრდილია და, დღეის მდგომარეობით, ქვეყანაში 7.032 აივ/შიდსის მქონე ადამიანია რეგისტრირებული.

მონაცემები შიდსის ცენტრში იმუნოდეფიციტის ვირუსით გარდაცვლილთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წარმოადგინეს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ვილაცას გახარიას ჩაძირვა უნდოდა“

დავით ლორთქიფანიძე: „ჩვენი ხელისუფლების ვალდებულებაა, საზოგადოებაში გაჩენილ ყველა კითხვას პასუხი გასცეს“

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ პარლამენტის ყოფილ დეპუტატთან, „ქართული ოცნების“ წევრ დავით ლორთქიფანიძესთან

– პატონო დავით, როგორც „ოცნების“ წევრი, ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს როგორ აფასებთ?

– სწორი გადაწყვეტილების შედეგად ვითარება, გარკვეულწილად, დასტაბილურდა, მაგრამ, თუ გამოძიება არ გამოავლენს იმ ადამიანებს, რომლებიც ნარკოტიკების გავრცელების შემოქმედნი არიან, წლების განმავლობაში ამ საქმით იყვნენ დაკავებული, შეიძლება საზოგადოებაში პროტესტის ახალი ტალღა გამოიწვიოს.

ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. იმ 8 ნარკობარიგის დაპატიმრებაზე გაჩერება, ელემენტარულად, ვერ გამოვა. სამწუხაროდ, ნარკოქსელი ბევრად უფრო ორგანიზებულია. ამიტომ ამ ქსელს უფრო მეტი ძალისხმევით ბრძოლა სჭირდება.

– პარლამენტის ერთ-ერთი ყოფილი წევრი სოციალურ ქსელებში წერს, რომ ნარკობარიგებს ხელისუფლებაში მფარველი ჰყავთ. თქვენ რას იტყვით ასეთ ბრალდებებზე?

– ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია ხელისუფლების ოპონენტების პოზიცია, რა საჭირო იყო ღამის კლუბებში შესვლა, როდესაც 8 ნარკობარიგა დაპატიმრებული ჰყავდათო. საინტერესოა, საერთოდ ვინ დაადგინა, რომ მხოლოდ ის 8 ადამიანი გახლდათ ნარკოტიკების რეალიზაციით დაკავებული? რა გარანტია იყო, რომ სხვა ნარკორეალიზატორები ამ ღამის კლუბებში არ იქნებოდნენ? რატომ გამორიცხავთ, რომ ამ კლუბებში სხვა ნარკობარიგებიც ყოფილიყვნენ.

– თქვენ ამის თაობაზე ინფორმაცია გაქვთ?

– ინფორმაცია მაქვს, რა თქმა უნდა, მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება ეს არც არის გადამწყვეტი. ძალიან მარტივ კითხვას ვსვამ – ჩვენს მკითხველს მინდა ვკითხო, ქუჩაში თუ დააკავებენ ადამიანს ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ, მის მიმართ ხომ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე? კლუბში ყოფნა როდიდან არის ინდულგენცია ნარკოტიკის მოხმარებისთვის. ვინ მისცა გარანტია ამ ხალხს, კლუბში თუ იქნება ნარკოტიკული თრობის ქვეშ, კანონი არ შეეხება.

– საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ნარკომომხმარებლების სისხლისსამართლებრივ დევნაზე მორატორიუმი ხომ არის გამოცხადებული? პარლამენტს შესაბამისი დადგენილება ჯერ არ მიუღია.

– ნარკოტიკის მოხმარების კრიმინალიზაციაზე არავითარი მორატორიუმი არ არის გამოცხადებული.

– საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ საზოგადოებამ ისე გაიგო.

– მათ რა გაიგეს, მნიშვნელობა არ აქვს. სასამართლოს გადაწყვეტილება არ ნიშნავს, ვისაც როგორ უნდა, ნარკოტიკს გაიჩხერს, გადაყლაპავს, შეიყნოსავს. მაშინ, ელემენტარულად, ქვეყანაში ანარქია იქნება.

– არ უთქვამთ, რომ ვინმე ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი დააკავეს. არადა, ითქვა, რომ კლუბებში იყვნენ ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფი პირები, თუმცა, არ დაუკავებიათ.

– როდესაც პოლიცია კლუბებში შევიდა, 260-ე მუხლის შესაბამისად, იქ მყოფთ განუმარტეს, ვისაც ჰქონდა ნარკოტიკული საშუალება, შეეძლოთ დაედოთ და კლუბიდან გასულიყვნენ. ეს განახორციელეს. ადამიანებმა ნარკოტიკული საშუალებები იქ დატოვეს. ძიებისას გამოიკვეთება, რამდენი, რა სახის ნარკოტიკია ამოღებული ამა თუ იმ კლუბში მყოფი ადამიანებისაგან.

ჩემი აზრით, ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებზე შს სამინისტროს გარკვეული ღონისძიებები ექნება გატარებული, მაგრამ 2-3 დღეში ამის გასაჯაროება, არა მგონია, გადაუდებელი აუცილებლობა იყოს. მოვა დრო და გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებზეც შს სამინისტროს ექნება შესაბამისი ზომები.

– რა ზომებს გულისხმობთ?

– თუ ვინმეს დაუდგინდა, რომ ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იყო, მის მიმართ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ ნარკოტიკი იძლევა ამის საშუალებას.

– მაშინ იმ დღესვე უნდა დაიწყოთ შესაბამისი ღონისძიებები, ექსპერტიზების ჩატარება, შემოწმება, პირი იმყოფება თუ არა ნარკოტიკული თრობის ქვეშ და ა.შ.

– შეიძლება შს სამინისტრომ უკვე ჩაატარა შესაბამისი ღონისძიებები და გამოძიების რაღაც ეტაპზე გაასაჯაროებს.

– შს მინისტრ გახარიას მუშაობით კმაყოფილი ხართ?

– ღამის კლუბებში შესვლისას დარღვევა მინიმალიზებული იყო. დარღვევის თაობაზე არც ერთი განცხადება არ შესულა შს სამინისტროში. თუ ადამიანის უფლებების დარღვევად მივიჩნევთ იმას, რომ კლუბში ღამის გასატარებლად მისულ ადამიანს ჩაეშალა ღამის გატარება, საპირწონედ, მეორე მხარეს იყო ნარკოტიკების რეალიზაცია, მოხმარება, რაც ადამიანებზე მავნე ზემოქმედებას ახდენს. ამიტომ შეიძლება გარკვეულ ადამიანებს დისკომფორტი შეექმნათ, მაგრამ რომის პაპზე მეტად კათოლიკე ნუ ვიქნებით.

– აქციის დროს რუსთაველზე პოლიცია რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

– აქციაზე მამა აბრამის ბატკნები ნამდვილად არ იყვნენ. ფრთების ტყლაშუნის ხმა არ ისმოდა. პოლიციის მიმართ ბევრი შეურაცხმყოფელი გამონათქვამი მოვისმინეთ.

– 17 მაისს თქვენ იყავით ოჯახის სიწმინდის დღის აქციაზე. 17 მაისს გარკვეული პირები დააპატიმრეს, რომელთა მიმართ პოლიციას სინამდვილეში პრეტენზია არ ჰქონდა, უბრალოდ, პოლიციაში ჰყავდათ დაყოვნებული. ამის შესახებ თუ იცით?

– ამ თემასთან დაკავშირებით მე ვიცი ის, რაც უნდა ვიცოდე. შეიძლება უფრო მეტიც. ფაქტია ის, რომ რამდენიმე ათეული ადამიანი (რომელთა შორის იყვნენ ცნობადი სახეები) დაკავეს, პოლიციის განყოფილებებში გადაიყვანეს და რამდენიმე საათის განმავლობაში იქ ჰყავდათ.

– ისინი თავს უფლებაშელახულად და შეურაცხყოფილად გრძნობენ. მაგალითად, ფალავანდიშვილი, კორკოტაშვილი. თქვენ არ ფიქრობთ, რომ მათი უფლება შეილახა?

– ვფიქრობ, ამ ადამიანებს, რომლებიც იყვნენ დაკავებული, კონსტიტუციური უფლება აქვთ, მიმართონ სათანადო ორგანოებს მათი უფლების დარღვევის თაობაზე. თუ ისინი შესაბამის ორგანოებს მიმართავენ, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, დაადგინოს, რა მიზეზით იყვნენ ეს ადამიანები თავისუფლებააღკვეთილი და გადაყვანილი გამოკითხვაზე.

ჩვენი ხელისუფლების ვალდებულებაა, საზოგადოებაში გაჩენილ ყველა კითხვას პასუხი გასცეს. ამ ადამიანებს აქვთ კითხვები. დარწმუნებული ვარ, სახელმწიფო მათ კითხვებს პასუხს გასცემს.

– ლგბტ პირებმა 17 მაისს რამდენიმე ადგილზე ჩაატარეს აქციები, იუსტიციის სახლთან, სახელმწიფო კანცელარიასთან. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა გააკეთეს განცხადებები, რომ საქართველოში მათი უფლებები ირღვევა. თქვენ ამ საკითხს როგორ უყურებთ?

– მე ამ საკითხს ძალიან მარტივად ვუყურებ. ყველა ადამიანს აქვს უფლება, როგორც თვითონ სურს, ისე იცხოვროს, ოღონდ მან თავისი ცხოვრების წესით არ უნდა მოახდინოს სხვა ადამიანის ცხოვრების წესის შევიწროვება, შეურაცხყოფა და თავისი ცხოვრების წესის საზოგადოების უმრავლესობისათვის თავს მოხვევა.

ჩვენ მართლმადიდებელი სახელმწიფო ვართ. ჩვენთვის მთავარია „ენა, მამული, სარწმუნოება“. ამ პოსტულატებიდან ამოვდივართ. ასე მოვედით დღემდე და გვაქვს ვალდებულება, ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ მიწას (რომელიც ჩვენმა წინაპრებმა დღემდე მოიტანეს), სარწმუნოებას გავუფრთხილდეთ და მოვიქცეთ ისე, როგორც ეკადრება მართლმადიდებელ და ძალიან ტოლერანტულ ერს.

– ჩვენ ასე არ ვიქცევით?

– ვფიქრობ, ჩვენ ასე ვიქცევით. ის ადამიანები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ცხოვრების წესის პროპაგანდას, თვითონვე იქმნიან პრობლემებს.

– ლგბტ-ებზე ამბობთ?

– დიახ. დარწმუნებული ვარ, არავის აინტერესებს, ისინი რით არიან დაკავებული და რას აკეთებენ, მაგრამ, როდესაც საუბარი გადადის პროპაგანდაში, რასაც, ნებსით თუ უნებლიეთ, შეიძლება მოზარდი თაობა უყურებდეს, ეს სწორი ნაბიჯი არ არის. მათ არავინ არაფერს უშლის.

– 15 წლის ახალგაზრდა შარში გაება და ვიღაცას დაარტყა. ამიტომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც არის აღძრული. ფაქტობრივად, ის ბავშვი პროვოკაციის მსხვერპლი გახდა.

– გეთანხმებით. დარწმუნებული ვარ, ის ახალგაზრდა, როცა სახლიდან წამოვიდა, ამაზე არ ფიქრობდა, ემოციამ სძლია. ძალადობის ყველა წინააღმდეგი ვართ, მაგრამ, ვფიქრობ, ამ ახალგაზრდის მიმართ ძალიან ლიბერალური სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა უნდა იქნეს გატარებული (ამის საშუალებას სისხლის სამართლის კოდექსი იძლევა), რადგან ეს ბავშვი არ არის კრიმინალი. ის არის კაცი, რომელიც საქართველოს გამოადგება.

– როგორ გაართვა თავი 17 მაისს შს სამინისტრომ ქუჩაში გამოსული საზოგადოების მართვას?

– ყველაფერი შედეგით იზომება. შედეგი იყო ის, რომ სისხლი არ დაღვრილა, ფიზიკური დაზიანება არავის მიუღია, ესკალაცია არ მომხდარა. გიორგი გახარია მოწოდების სიმაღლეზე იყო.

– სოციალურ ქსელებში წავიკითხე, გახარიას პრემიერობისთვის რეიტინგი აუმაღლდაო. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

– ათასი აზრი არსებობს. ზოგი ამბობს, ამ პროცესებით გახარიას ჩაძირვა იყო განზრახული. შეიძლება ვიღაცის თავებში ეს იხარშებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ გახარიამ მართვის კარგი უნარი გამოავლინა. გახარიას მრავალმხრივი გამოცდილება აქვს სხვადასხვა სფეროში, მაგრამ იმ პირობებში, როცა დღეს რეალური პრემიერ-მინისტრი გვყავს, ამაზე საუბარი სწორი არ იქნება.

– საუბრობდნენ იმაზე, რომ „ოცნების“ ერთ ჯგუფს უნდოდა გახარიას ჩაძირვა. შეიძლება „ოცნებაში“ მოხარშულიყო გახარიას ჩაძირვის იდეა?

– არა. ვფიქრობ, ეს შედიოდა გარკვეული ჯგუფების ინტერესებში.

– ნარკოტიკებთან დაკავშირებულ აქციაზე იქ პოლიტიკოსებიც გამოჩნდნენ ძველი გვარდიიდან. მათ ხომ არ უნდოდათ გახარიას ჩაძირვა?

– რატომაც არა. მათი იდეური მამა საზღვარგარეთ არის და ერთგვარ იუმორისტულ განცხადებებს აკეთებს, ჩემს დროს არ დავუშვებდი კლუბებში შევარდნასო. კლუბებში კი არა, ეკლესიაში, ტელევიზებში, „იბერიასა“ და „იმედში“ და ოჯახებში უცვივდებოდნენ ხალხს.

„პროკურორმა სუბელიანმა დანაშაული დაფარა“

„კურიერი“ სკანდალურ კადრებს ასაჯაროებს

ხორავას ქუჩაზე მომხდარი სისხლიანი დაპირისპირების შესახებ რუსთავი 2 სკანდალურ ვიდეომასალას აქვეყნებს.

„კურიერის“ მიერ მოპოვებული სათვალთვალო კამერის ჩანაწერები ადასტურებენ, რომ დანაშაულის დაფარვაში ყოფილმა სამართალდამცველმა მირზა სუბელიანმაც მიიღო მონაწილეობა, იმ დროს, როცა ის ჯერ კიდევ მოქმედი პროკურორი იყო.

„კურიერის“ მიერ მოპოვებული სასამართლო დაკითხვის და კაზინო „აჭარის“ ვიდეოთვალის ჩანაწერები ორი მოზარდის მკვლელობის შემდეგ კალანდიების სახლთან განვითარებულ მოვლენებს ასახავს.

ვიდეომასალაში ჩანს რამდენიმე ავტომობილი, რომელიც კალანდიების ეზოს მიმართულებით მოძრაობს.

პირველი ავტომობილი, რომელიც 14:50 საათზე (მომხდარიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ) ეზოში შედის, არის თენგიზ კალანდიას მეგობრის, გიორგი თურქიას, შავი ბმვ. საქმის მასალებით ირკვევა, რომ თურქიამ თენგიზ კალანდიას მისი შვილი და ერთ-ერთ ბრალდებული, პეტრია შვილის ქუჩის სამალავიდან სახლში მიაყვანინა. შავი ბმვ ეზოში მთელი დღის განმავლობაში რამდენჯერმე შედის და გამოდის. ანუ გიორგი თურქია კალანდიებთან განვითარებული მოვლენების უშუალო მონაწილეა, თუმცა დანაშაულის დაფარვაზე მისთვის ბრალი არ წაუყენებიათ.

„კურიერის“ ინფორმაციით, ის ყოფილი პოლიციელია.

დაახლოებით დღის 3 საათისთვის ეზოში წითელი ფერის ტოიოტა პრიუსი შედის, რომლის მფლობელიც მირზა სუბელიანის მეუღლე, თეა კაკუბავაა. თეა კაკუბავა კალანდიების სახლში შვილთან, ა.ს.-სთან ერთად მიდის. სწორედ მისი დაჩაგვრის გამო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს მოზარდები სასიკვდილოდ.

15 საათსა და 35 წუთზე (მომხდარიდან დაახლოებით 1 საათის შემდეგ) კალანდიების საცხოვრებელი სახლის ეზოში ფეხით შედის იმჟამად მოქმედი პროკურორი მირზა სუბელიანი, რომელიც თეა კაკუბავას მეუღლე და თენგიზ კალანდიას ქვისლია. თენგიზ კალანდია გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ყვება, რომ მირზა სუბელიანს ის ინფორმაცია მიაწოდა, რაც იმ დროისთვის მისთვის იყო ცნობილი.

მირზა სუბელიანის მისვლიდან რამდენიმე წუთში ეზოში შედის ვერცხლისფერი ტოიოტა ვიტცი. ავტომობილის მფლობელი კალანდიების მეზობლის, შაკო წინწკალაძის, მეგობარია. სწორედ ამ ავტომობილით მოხდა მიხეილ კალანდიასა და ერთ-ერთი ბრალდებულის ქალაქიდან გაყვანა.

ვიდეომასალაში ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც ტოიოტა ვიტცი კალანდიების ეზოს ტოვებს, ეზოდან გამოდიან მირზა სუბელიანი და თენგიზ კალანდიაც. თუმცა დანაშაულის დაფარვაზე ბრალი მხოლოდ კალანდიებს წაუყენეს. მირზა სუბელიანით გამოძიება ამ დრომდე არ დაინტერესებულა.

„კურიერის“ მიერ მოპოვებულ ვიდეომასალაში რამდენჯერმე ჩანს ლუკა კალანდია. მას ეზოდან გამოაქვს ჩხუბის მონაწილე მოზარდების ტანსაცმელი, რომელიც, მისივე თქმით, საკანალიზაციო ჭაში ჩაყარა. მოგვიანებით, ეზოდან ერთ-ერთი გასვლისას, როგორც თავად სასამართლოზე განაცხადა, მისი ძმის და მეგობრის ტელეფონები მოიშორა თავიდან.

სასამართლო დაკითხვის ჩანაწერში ლუკა კალანდია ყვება, რომ მისი ძმის მეგობარი, ამჟამად ბრალდებული გ.ჯ., შეშინებული და დაბნეული იყო. ამ მდგომარეობაში წაიყვანეს კალანდიებმა გ.ჯ. შემთხვევის ადგილიდან, მოგვიანებით კი ქალაქიდან გაიყვანეს, მაშინ, როცა არასრულწლოვანი გ.ჯ.-ს ოჯახმა მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა.

ნიუპოსტი

სოსო ცინცაძე: „რუსეთისთვის დღეს საქართველოს მიმართულება პრიორიტეტი არ არის“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე მინდა გკითხოთ, რომელიც რუსეთის ლიდერთან შეხვედრას ეხებოდა. რა მესიჯს შეიცავდა ეს განცხადება?

– მნიშვნელოვანია განცხადების ფორმა და ადგილი, სად კეთდება. ეს არ იყო სპეციალური განცხადება, ეს იყო სტუდენტის შეკითხვაზე პასუხი. პასუხი კი პოზიტიურად ნეიტრალური იყო. ძალიან დიდი ფანტაზია და სუბიექტივიზმი იყო საჭირო, რომ შემდეგ ასეთი კომენტარები მოჰყოლოდა. პრაქტიკულად, მარგველაშვილმა თქვა, შეხვედრა შეიძლება იყოს, თუ საუბარი დეოკუპაციას შეეხებაო, რასაც ამბობს უმრავლესობა. თუმცა მე, როგორც დიპლომატიის თეორიის მკვლევარი, გეტყვით, რომ ეს უკვე გამორიცხავს ნებისმიერ შეხვედრას.

– ალბათ ლეგიტიმური კითხვაა, რაც ისმის – თუ არა დეოკუპაცია, რაზე შეიძლება სხვაზე საუბარი?

– სავსებით ლეგიტიმური და ბუნებრივი კითხვაა, მაგრამ, როდესაც პროფესიონალი ხარ, მაშინ იცი, რომ ასე არ არის. გამორიცხულია, რომ პირველსავე შეხვედრაზე პუტინმა დეოკუპაციაზე ისაუბროს. მაშინ სხვა რეალობა იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში შეხვედრა შეიძლება დაიგეგმოს, მაგრამ გააჩნია, რა საგაო რუკით მიდიხარ ამ შეხვედრაზე. ჩემი აზრით, მოლაპარაკება 2008 წლის სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შესრულების მოთხოვნით უნდა დაიწყოს.



„მან იცის, რომ საქართველოდან საფრთხე არ ემუქრება“

– ისევ მარგველაშვილს რომ დავუბრუნდეთ, შეიძლება რაღაც გათვლა ჰქონდა მარგველაშვილს თუნდაც წინასაარჩევნოდ?

– არა, კონტექსტს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ასეთი „შორსმიმავალი“ განცხადებები კეთდება. ეს იყო სტუდენტის კითხვაზე პასუხი და სხვა არაფერი.

ჩვენმა ხელისუფლებამ ხელიდან გაუშვა ის მომენტი და ამაში მარგველაშვილს ალბათ ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვის, როდესაც, მართალია, მინიმალური, მაგრამ მაინც შანსი არსებობდა რუსეთთან ჩვენი ინტერესების გათვალისწინებით გარკვეული შეთანხმების მიღწევის, ამის მინიშნებები რუსეთიდან იყო.

– პუტინმა ქართველი ჟურნალისტის კითხვას რომ უპასუხა, რომ ის მზად არის შეხვედრისთვის?

– არა, ესეც სტანდარტული პასუხი იყო ჟურნალისტის კითხვაზე. ასეთი შეხვედრები ასე არ წყდება. მსგავს შეხვედრებს წინ დიდი მოლაპარაკებები უძღვის.

– დღეს თუ არის მსგავსი სიგნალი რუსეთიდან?

– არა. რუსეთისთვის დღეს საქართველოს მიმართულება პრიორიტეტი არ არის. აქედან რუსეთს საფრთხე არ ელის. როგორც ჩანს, კრემლში გადაწყვიტეს, რომ ძალიან დიდი ხნით საქართველოს ნატოში გაწევრიანება რეალური არ არის.

– თუ ნატოს მიმართულებით რამე ძვრები იქნება, რუსეთი ამოქმედდება?

– გააჩნია, რა ძვრებს გულისხმობთ.

– მაგალითად, მაპი თუ მოგვცეს.

– მაშინ არათუ ძვრა იქნება, რუსეთი შეიძლება პირდაპირ შეტევაზე გადმოვიდეს, მაგრამ, თუ ბრიუსელის სამიტზე იქნება, მაგალითად, ნატოს მხრიდან, როგორც აქამდე იყო: – ჩვენ ვაფასებთ საქართველოს როლსა და წვლილს, პროგრესს. მადლობა ქართველ სამხედროებს, ჩვენი სამხედროების გვერდით რომ იბრძვიან ავღანეთში და სხვაგან, ასეთი შეფასებების შემთხვევაში არაფერი არ იქნება, ამას რუსეთი შეეგუა, თითქოს ვაქცინა გაუკეთეს.

მაპის შემთხვევაში რუსეთის რეაქცია ცნობილია: 2008 წელს მედვედევმა პირდაპირ თქვა, ომი იმიტომ დაიწყო, რომ საქართველოს მაპი არ მიეღო ბუქარესტში. პირადად პუტინი ჩავიდა ბუქარესტში, რომ მაპი არ მოეცათ. თუმცა, მართლაც გვქონდა ისტორიული მომენტი, შანსი, რომ მაპი მიგვეღო ბუქარესტში. ქართული დიპლომატია, ლობისტური რგოლი უფრო ძლიერი რომ ყოფილიყო გერმანიასა და საფრანგეთთან, მაშინ ბუში თავისას გაიტანდა. პირდაპირ ვთქვათ, მაშინ ვერ შევძელით, იმის შემდეგ ასეთი ძლიერი შანსი არ გვქონია. თუმცა, საქართველო ითვლება ერთ-ერთ პერსპექტიულ სათადარიგო მოთამაშედ. ვნახოთ, როდის დადგება საქართველოსთვის ვარსკვლავური საათი. ამას დღეს ვერავინ იტყვის. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი რუსეთისა და პუტინის პირობებში ამის განჭვრეტა რთულია.

ნახეთ, რა საინტერესოა რუსული დიპლომატიის ხელწერა, რა მოხდა ჩერნოგორიაში, როდესაც ნატომ მზაობა განაცხადა, წევრად მიეღო. რუსეთის პირველი რეაქცია თითქმის ავტომატურ რეჟიმში იყო ხელისუფლების შეცვლა ძალისმიერი მეთოდებით და პრორუსული ძალის მოყვანა, რომელიც ნატოზე უარს იტყოდა, მაგრამ არ გამოუვიდა. შედეგად, რუსეთმა ჩერნოგორია გადაყლაპა და დღეს უკვე ჩერნოგორია ნატოს წევრია.

თუ კრემლში დაინახეს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება ალიანსის ყველა წევრის გადაწყვეტილებაა და ეს პროცესი შეუქცევადია, მაშინ რუსეთი ამას შეეგუება და ომს ვერ დაიწყებს. რუსეთს ომის დაწყება სუსტ საქართველოსთან შეუძლია და არა – ნატოს წევრ საქართველოსთან. ჩვენი უბედურება ის არის, რომ ნატოში მომავალ წევრობას მხოლოდ ერთი სახელმწიფო არ წყვეტს. თუ ევროპა ერთსულოვანი იქნება, ვაშინგტონის პოზიცია გადამწყვეტი იქნება და ეს პოზიცია, დარწმუნებული ვარ, პროქართული იქნება, მაგრამ რა ვუყოთ გერმანიას?! საფრანგეთს?! ვერ გეტყვით, რას აკეთებს ჩვენი დიპლომატია ამ ქვეყნებთან.

ერთი საკითხი, რომელზეც აუცილებლად უნდა ვთქვა, „პატრიოტთა ალიანსის“ მოსკოვში ვიზიტია. როგორ შეიძლება, მე, დიპლომატი, მოლაპარაკებების წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ დსთ-ს კომიტეტში ქართული დელეგაციის, ვინც არ უნდა იყოს, ადგილი არ არის. ამაში ბოკერიაზე ბევრად უფრო პრინციპული და შეუვალი ვარ. საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტში, სადაც საფრანგეთის დელეგაციას, სხვა დელეგაციებს იღებენ, იქ გამართონ შეხვედრები.

– თქვენ ამბობთ, რომ დსთ-ს კონტექსტში განგვიხილავენ?

– დიახ, რა გვინდა დსთ-ში?! დსთ უკრაინამაც კი დატოვა, ჩვენ უკან უნდა დავბრუნდეთ?! დსთ-ს კომიტეტი მხოლოდ დსთ-ს წევრ ქვეყნებთან ურთიერთობებს განიხილავს. ეს, იცით, როგორია, მართლმადიდებელი ეკლესია ისლამური მეჩეთების შიდა პრობლემების განხილვებს რომ ესწრებოდეს. ჩვენი ადგილი დსთ-ს კომიტეტში არ არის. ეს სახელმწიფოს ინტერესებისთვის დამაზიანებელია.

სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე, საქართველოს მოქალაქე ტანრივერდი კ. და რუსეთის მოქალაქე ვილაიატ ა. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დმანისის რაიონში მცხოვრებმა ტანრივერდი კ-მ საქართველოს მოქალაქეს ყალბი ფულის შესყიდვა შესთავაზა. მისი განმარტებით, ყალბი ფული მას თურქეთის რესპუბლიკიდან ჰქონდა შემოტანილი. ტანრივერდი კ-მ და მისმა თანამზრახველმა, რუსეთის მოქალაქე ვილაიატ ა-მ აღნიშნულ მოქალაქეს ორ ნაწილად გადასცეს 4.000 აშშ დოლარის ოდენობით ყალბი ფული, რის სანაცვლოდაც 1.400 აშშ დოლარი აიღეს. სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ტანრივერდი კ. და ვილაიატ ა. ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით). გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

„ჰეშკილის ქოხები“ კვლავ პრობლემის წინაშე დგას

„ჰეშკილის ქოხები“ ფართოვდება და ის ზაფხულის დასაწყისში უკვე არსებულს კიდევ ერთ კოტეჯს და რესტორანს ამატებს. როგორც „კომერსანტთან“ საუბრისას მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი მალალო გელოვანი აცხადებს, ბიზნესი სტაბილურად განვითარებას აგრძელებს, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა კვლავ მოუგვარებელი რჩება. სასტუმრომ სეზონი უკვე გახსნა და ძირითადი სტუმრები უცხოეთიდან, კერძოდ კი გერმანიიდან მიიღო.

ჯერ კიდევ 2017 წელს სასტუმროს დამფუძნებლებს გამგეობის წევრები დაჰპირდნენ, რომ ელექტროენერგიის და შესაბამისად გათბობის პრობლემას მოუგვარებდნენ, რადგან ქოხების გათბობის სისტემები ელექტროენერგიაზეა, თუმცა მალალო გელოვანის განცხადებით, ამ დრომდე პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩება.

– გვპირდებიან, თუმცა ამ ეტაპზე გათბობა და ელექტროენერგია არ გვაქვს, ჩვენ კი ტრადიციულად გენერატორს ვიყენებთ, რაც დიდ ხარჯს წარმოადგენს.

რაც შეეხება ახალ ქოხს ის სამადგილიანი იქნება და ზაფხულის დასაწყისში უკვე სტუმრებსაც სრულფასოვნად მიიღებს, – განაცხადა გელოვანმა.

მისივე განმარტებით, სამომავლოდ გეგმაში 50 სტუმრის მიღება აქვთ, ხოლო ამ ეტაპზე „ჰეშკილის ქოხებში“ სულ 27 ადგილი და შვიდი ქოხია.

ჰეშკილი სვანეთის ერთ-ერთი უძველესი სოფელია, რომელიც ზღვის დონიდან 1.900 მეტრზე მდებარეობს, მესტიიდან 6 კმ-ში სამთო-სათხილამურო კურორტ ჰაწვალის გზაზე. სწორედ ამ ადგილზე ფილფანების მიერ დაფუძნებული საოჯახო ბიზნესი – საოჯახო ტიპის სასტუმრო „ჰეშკილის ქოხებია“ განთავსებული.

ბიზნესი 2017 წელს დაფუძნდა, რომელიც ოჯახმა საკუთარი ფინანსებით და პროექტ „აწარმოე საქართველოში“ 10.000 ლარით დაფინანსებული კაპიტალით წამოიწყო.

კომერსანტი

ბარბარე რაფალიანცის საქმის სკანდალური დეტალები

რას ამბობს ყოფილი პროკურორის ყოფილი მეუღლე

ექვსი წელი და რვა თვეა, რაც ბარბარე რაფალიანცის დედა ელოდება პასუხს, ვინ ჩააგდო წყლით სავსე ქვევრში 10 თვის ჩვილი. რაფალიანცის საქმე უკვე წლებია, პროკურატურის თაროზეა შემოდებული. მოკლული ჩვილის დედა დღესაც დარწმუნებულია, რომ ბავშვი პოლიტიკურ თამაშებს შესწირეს.

ტრაგედიიდან 6 წლის შემდეგ კურიერისთვის სკანდალური დეტალები ხდება ცნობილი. პროკურორ მილენა მითაიშვილის ყოფილი მეუღლე პირველად ყვება, თუ როგორ აპირებდა მთავარი საგამოძიებო უწყება, ბარბარე რაფალიანცის საქმე ოპოზიციის წინააღმდეგ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს გამოეყენებინა.

რევერა ბენდელიანი ვინაობას არ მალავს, თუმცა კურიერს ინტერვიუ იმ პირობით მისცა, რომ რუსთავი 2 სახეს დაუფარავდა.

ბენდელიანი ყვება, რომ რაფალიანცის საქმის გაყალბების ისტორია მთავარი პროკურორის კაბინეტში დაიწყო. მის ცოლს კი, როგორც გახმაურებული საქმეების პროკურორს, დოკუმენტაცია არაოფიციალურად გადასცეს და დაავალეს, რომ საქმე შეეკერა.

მისი თქმით, 10 თვის ჩვილის გარდაცვალების საქმე პროკურორმა მილენა მითაიშვილმა სახლში მიიტანა და მეუღლეს უყვებოდა, როგორ უნდა წარედგინათ ბრალი ნაციონალური მოძრაობის გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატების მაშინდელი კანდიდატისთვის, გიორგი ღვინიაშვილისთვის.

ბენდელიანი ამბობს, რომ სქემის მიხედვით, პროკურატურას გარდაცვლილი ჩვილის დედაზე ზეწოლა უნდა მოეხდინა, რომელიც ხელს გიორგი ღვინიაშვილს დაადებდა.

რევერა ბენდელიანის მონათხრობიდან ირკვევა, რომ, თუ რაფალიანცის დედა პროკურატურის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარს იტყოდა, მაშინ მას საგამოძიებო უწყება დაემუქრებოდა, რომ შვილის მკვლელობის ბრალდებით მას ციხეში ჩასვამდნენ.

რაფალიანცის დედამ დაადასტურა, რომ სამართალდამცველები შვილის მკვლელობის აღიარებას მისგან მართლაც ითხოვდნენ.

ბენდელიანი ამბობს, რომ რაფალიანცის საქმეზე კიდევ უფრო მეტი იცის და ამიტომ სასამართლოს სთხოვს, რომ დაკითხოს.

ყოფილი ქმრის ბრალდებებზე მილენა მითაიშვილი კომენტარს არ აკეთებს. მან კურიერს მხოლოდ ტექსტური შეტყობინება გამოუგზავნა, სადაც წერს, რომ რაფალიანცის საქმის პროკურორი ის არ ყოფილა და რევერა ბენდელიანის ბრალდებები გამოგონილია.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ კურიერს დაუდასტურა, რომ მილენა მითაიშვილი რაფალიანცის საქმეს ნამდვილად ზედამხედველობდა, თუმცა, პროკურორის ოჯახის წევრის ბრალდებას, რომ ის საქმის პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოყენებას ცდილობდა, უწყებაში უარყოფენ.

გიორგი ღვინიაშვილი ამბობს, რომ უკვე 6 წელია, ბარბარე რაფალიანცის საქმე ხელისუფლების ხელში ტაბელური იარაღია და მას ოპოზიციის განეიტრალებისთვის იყენებს.

რუსთავი 2

აფხაზეთის საზოგადოება ახალი სამხედრო ძალის შექმნას ეწინააღმდეგება

მარიამ მჭედლიშვილი

აფხაზეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები სწრაფი რეაგირების სპეცრაზმის შექმნას ეწინააღმდეგებიან. მათი აზრით, ეს აფხაზეთისათვის ზედმეტი ხარჯია. ოპონენტები ვარაუდობენ, რომ სპეცრაზმს ხელისუფლება ხალხის წინააღმდეგ გამოიყენებს.

აფხაზეთში ბოლო წლებში სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას უარყოფითად აფასებენ. ახალი ძალოვანი სტრუქტურების შექმნის გაპროტესტებაც არ ხდება პირველად.

დიდი აურზაური მოჰყვა იდეას რუსულ-აფხაზური საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის შექმნის თაობაზე. ამ საკითხზე ოპონენტები არ ერიდებოდნენ რუსეთის კრიტიკას. საბოლოოდ, ერთობლივი ცენტრი დანაშაულთან საბრძოლველად მაინც შეიქმნა, თუმცა – აფხაზებისათვის უფრო მისაღები ფორმით.

აფხაზეთში მძიმე დანაშაულის ზრდა შეინიშნება, მინისტრების ცვლას შედეგი არ მოაქვს. ყველა მინისტრი რეფორმებს აანონსებს, მაგრამ დანაპირებს ვერ ასრულებს.

შარშანდელი ტურისტული სეზონის დაწყება აფხაზეთში ავტონსპექტორების სამსახურიდან მასობრივი წასვლით აღინიშნა. საგზაო წესრიგის დამცველებს აუკრძალეს რუსეთიდან ჩამოსული მანქანების გაჩერება, ე.ი. შეუმცირეს ქრთამის აღების

არეალი. ამის გამო დაბალხელფასიანი საგზაო პოლიციელების დიდი ნაწილი სამსახურიდან წავიდა. ახლანდელები იძულებული არიან, საწვავი და ეკიპირება საკუთარი სახსრებით მოიმარაგონ.

რუს დამსვენებლებს შარშან ავტოინსპექტორები აღარ აწუხებდნენ, მაგრამ რამდენიმე მათგანი გახდა მძარცველების თავდასხმის ობიექტი. იყო მკვლელობის შემთხვევა.

როგორც ჩანს, სწრაფი რეაგირების 200-კაციანი სპეცრაზმის ჩამოყალიბება მორიგი ტურისტული სეზონის ნორმალურად ჩატარებას უკავშირდება. ეს გადაწყვეტილება ოკუპირებულ რესპუბლიკაში ბევრისთვის მიუღებელია.

აფხაზეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების ცენტრი მიმართავს ხელისუფლებას, უარი თქვას ახალი სპეცრაზმის შექმნაზე და ამის ნაცვლად მოახდინოს მოქმედი

ოკუპირებული რეგიონის პრეტენზიები გაეროსადმი

ძალოვანი სტრუქტურების მობილიზება.

– გაუმართლებლად მიგვაჩნია ახალი გასამხედროებული სტრუქტურის შექმნა იმ დროს, როცა არსებობს შსს-ს პირადი შემადგენლობა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, დაცვის სახელმწიფო სამსახური, სპეციალური დანიშნულების ცენტრი, საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრი. გაუგებარია, რით არის განპირობებული კიდევ ერთი ანალოგიური სტრუქტურის შექმნა. ეს გაუმართლებელია ეკონომიკური თვალსაზრისითაც, – აცხადებენ ორგანიზაციები.

ცენტრში შემავალი ჯგუფები სპეცრაზმის რეპრესიებისთვის გამოყენებასაც პროგნოზირებენ. ისინი იხსენებენ იანვრის საპროტესტო გამოსვლებს სოხუმში. მაშინ საზოგადოებამ მძაფრად გააპროტესტა დე ფაქტო პრეზიდენტ ხაჯიმბას გადაწყვეტილება „ტყის ძმების“ წევრ გიორგი ლუკავას შეწყალებისა და თბილისისთვის გადმოცემის შესახებ. განრისხება გამოიწვია ფაქტის დამალვამ. აფხაზეთის პარლამენტი მასალებს ლუკავას საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადასცემს. ამ თემაზე გამოსვლები მომავალშიც არ არის გამორიცხული.

– 2018 წლის 5 იანვრის მოვლენებმა დაამტკიცა, რომ ხელისუფლება მზადაა, გამოიყენოს ძალა საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ. დაუშვებლად მიგვაჩნია ძალისმიერი სტრუქტურების გამოყენება პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად, – აცხადებენ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები.

ერთადერთი, რის გამოც ოპოზიცია ხაჯიმბას რეჟიმს ეთანხმება, აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხია.

„გამარჯვების“ 25-ე და რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარების მე-10 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე მიიღეს მიმართვა გაეროსა და სხვადასხვა სახელმწიფოსადმი.

ოკუპირებული რეგიონი მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, ცნოს აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ამ საკითხის უგულებელყოფა, ავტორების მტკიცებით, გაეროს წესდებისა და სხვა საერთაშორისო ნორმების დარღვევა იქნება.

ლელა წურწუმიას კონცერტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 32.000 ლარით დააფინანსეს

პროექტ Check in Georgia-ს ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მომღერალ ლელა წურწუმიას კონცერტებისთვის დარბაზების ქირის ხარჯს გადაუხდის.

საქმე იმაშია, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, პროექტ Check in Georgia-ს ფარგლებში, გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა და შეარჩიეს მუსიკალური ღონისძიებები და არტისტები, რომელთაც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია დარბაზების ქირას გადაუხდის.

კერძოდ, „ბლექ სი არენას“ მომსახურება ჯდება 45 000 ლარი, თბილისის საკონცერტო დარბაზის (ფილარმონიის) – 25,000, ხოლო ბათუმის მუსიკის სახლის – 7,000.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, ლელა წურწუმიას შოუ 20 მაისს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა, ხოლო 23 ნოემბერს – ბათუმის მუსიკის სახლში.

როგორც BM.ge-ის მომღერლის პროდიუსერმა კახა მამულაშვილმა განუცხადა, სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი მხარდაჭერა ქართული შოუბიზნესის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია.

– ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას. ასეთი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ფილარმონიაში კონცერტის ჩატარება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ფაქტობრივად, დარბაზების მომსახურების ხარჯი ჯამური ხარჯების თითქმის 30-40 პროცენტია. ჩვენ წარვადგინეთ ორი პროექტი და ორივე მოიწონეს. როგორც უკვე დაანონსდა, ლელა წურწუმიას მორიგი შოუ ბათუმში 23 ნოემბერს, გიორგობას გაიმართება, – განაცხადა კახა მამულაშვილმა.

– სრული ანშლაგი გვაქვს. ბილეთების ფასი 10 ლარიდან იწყებოდა და მაქსიმუმი 80 ლარი იყო. ყველა გაიყიდა, – აღნიშნა წურწუმიას პროდიუსერმა.

შეგახსენებთ, Check in Georgia-ს ფარგლებში, საქართველოს სამი უმსხვილესი დარბაზი, თბილისის საკონცერტო დარბაზი, Black Sea Arena (შეკვეთილი) და მუსიკის სახლი (ბათუმი) ქართველ შემსრულებლებს და პრომოუტერებს უსასყიდლოდ დაეთმობათ. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, ნოემბრის ჩათვლით სამივე საკონცერტო დარბაზი ქართველი ვარსკვლავების შესრულებით 15 მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ღონისძიებას უმასპინძლებს.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ბილეთების რეალიზაციის პროცესში არ ერევა და გაყიდული ბილეთებიდან მიღებული შემოსავალი განსაკარგად ღონისძიების განმახორციელებელს რჩება.

Bm.ge

სურსათის სააგენტომ თურქეთის რამდენიმე საწარმოდან ფრინველის ხორცის იმპორტი აკრძალა

სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტის იმპორტის შეჩერების შესახებ გამოქვეყნდა ბრძანებულება 2018 წლის 18 მაისიდან საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთიდან ფრინველის ხორცის იმპორტის აკრძალვის შესახებ.

როგორც ბრძანებაში წერია, თურქეთის რესპუბლიკის „Erpilic Entegre Tavukculuk Uretim Pazarlama Ve Ticaret Ltd Sti“ (Doganci Mah Mudurnu Yolu 7, Bolu, Turkey TR 14-0022) საწარმოდან იმპორტირებული ფრინველის ხორცში, (0207 სასაქონლო პოზიცია) 1 წლის განმავლობაში სალმონელას (სალმონელა) ორჯერ აღმოჩენის გამო 1 წლის ვადით შეჩერდეს ამ საწარმოდან პროდუქტების იმპორტი.

– ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 18 მაისიდან. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, – ნათქვამია სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ბრძანებაში.

კომერსანტი

გიორგი კაპანაძე: „მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსებზე წვდომის პრობლემა მხოლოდ ბანკებზე შეტევით ვერ მოგვარდება“

რადიო კომერსანტის გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ ისაუბრეს ხელისუფლების ინიციატივებზე მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულებით. გადაცემის სტუმარი იყო აფბა-ს ვიცეპრეზიდენტი გიორგი კაპანაძე.

გიორგი კაპანაძის თქმით, დაგეგმილი ცვლილებები პოზიტიურ გავლენას იქონიებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე.

– დღეს საქართველოში საკმაოდ ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა გვაქვს და ბიზნესის დაწყება საკმაოდ გამარტივებულია, თუმცა მცირე და საშუალო ბიზნესი ნელა ვითარდება და საჭიროებს ხელშეწყობას. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა არ არის განვითარებული ისე, რომ მცირე და საშუალო ბიზნესმა სახელმწიფოს ხელშეწყობის გარეშე მოახერხოს განვითარება.

ამდენად, მისასალმებელია აღნიშნული ინიციატივები, ვინაიდან ბიზნესს ეძლევა საშუალება, გადასახადების შემცირების შედეგად დარჩენილი თანხები ეფექტურად დახარჯოს და მოახდინოს საკუთარ ბიზნესში მათი მობილიზება.

თავის მხრივ, ბიზნესიც შესაბამისად უნდა მიუდგეს კანონს, რომ ეფექტურად მოიხმაროს დაზოგილი თანხები. ახალი ინიციატივების დანერგვის შემდეგ გვეყოლება ძლიერი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ადვილად აუღებს ალღოს და ჩამოყალიბდება მსხვილ ბიზნესად, – ამბობს კაპანაძე.

მისივე თქმით, ცვლილებების შესვლის შემდეგ უკვე შესაძლებელია თანდათანობით გადასახადების მცირედი ზრდა.

– დაგეგმილი ცვლილებებით სახელმწიფო მოახდენს იმის სტიმულირებას, რომ გადასახადები გადაიხადონ ადამიანებმა, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობებსა და შინამეურნეობებს. სახელმწიფო ცდილობს, რომ მაქსიმალურად გამოიყვანოს ჩრდილიდან ასეთი ბიზნესი და მისცეს მათ საშუალება გადაიხადონ საკმაოდ დაბალი გადასახადები. მეორე მხრივ, სახელმწიფოს ექნება მთლიანი სურათი არსებულ მცირე და ინდ. მეწარმეებთან დაკავშირებით.

მცირე და საშუალო ბიზნესის მთავარი პრობლემა ფინანსებზე წვდომაა, თუმცა სახელმწიფომ ამ პრობლემის მოგვარება მხოლოდ ბანკებზე შეტევის გზით არ უნდა განახორციელოს. საჭიროა საფონდო ბირჟების განვითარება, რაც გამოიწვევს არსებული კანონმდებლობის განვითარება, – ამბობს გიორგი კაპანაძე.

კომერსანტი

„ბიუროკრატიული ელემენტების გამარტივება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ხელს შეუწყობს“

გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ ისაუბრეს ხელისუფლების ინიციატივებზე მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულებით. გადაცემის სტუმარი იყო პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი ქართლოს ეზუგბაია.

ქართლოს ეზუგბაიას თქმით, ფინანსთა სამინისტროს ახალი ინიციატივები ხელისუფლების მხრიდან ბოლო წლებში განხორციელებული ცვლილების ლოგიკური გაგრძელებაა.

– შემოთავაზებული ცვლილებები ეხება ბიზნესის განვითარებასა და წახალისებას, რაც გამოხატულია საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებით. ეს ცვლილება საკმაოდ მასშტაბურია და 120 ათასზე მეტ მეწარმეს შეეხება, რაც, ფაქტობრივად, გადასახადების გადამხდელების რაოდენობის 90%-ია. მაგალითისთვის, მცირე ბიზნესისთვის ბრუნვის გადასახადი 5%-დან 1%-მდე შემცირდება. ახალი საგადასახადო ინიციატივა აწესებს მინიმალურ საგადასახადო ტვირთს (1%) მცირე ბიზნესისათვის, ამასთანავე, უზრუნველყოფს მეწარმეებისათვის გამარტივებული საგადასახადო აღრიცხვის მეშვეობით მინიმუმამდე შემცირდეს საგადასახადო ადმინისტრირების დანახარჯები. აღნიშნული რეფორმის შედეგად, მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვნად გაიზრდება მცირე ბიზნესის წილი.

გარდა ამისა, მცირე მეწარმის სტატუსს ყველა ის ფიზიკური პირი მიიღებს, რომლის წლიური შემოსავალი ნახევარ მილიონ ლარს არ გადააჭარბებს. ეს არსებული ზღვარის ხუთჯერ გაზრდაა. მცირე ბიზნესისათვის შენარჩუნდება უმარტივესი საგადასახადო აღრიცხვის წარმოების შესაძლებლობა. კერძოდ, საქონლის აღრიცხვისთვის სპეციალური ჟურნალის წარმოება.

ამასთანავე, შემოთავაზებული ცვლილებებით იგეგმება ერთიანი საგადასახადო დოკუმენტის შემოღება, რაც გულისხმობს 5 სხვადასხვა საგადასახადო დოკუმენტის გაერთიანებას ერთ დოკუმენტად.

– აუცილებელია მსგავსი ცვლილებების განხორციელება, ვინაიდან ბიუროკრატიული ელემენტების გამარტივება ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. დაგეგმილია ორგანიზაციების დაბეგვრა განხორციელდეს მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელის პრინციპით, რაც ფაქტობრივად ნიშნავს მათ გათავისუფლებას ამ გადასახადისაგან, – ამბობს ქართლოს ეზუგბაია.

კომერსანტი

რატომ შეჩერდა ზუგდიდიდან ანაკლიამდე ველოტრასის მოწყობის პროექტი

ზუგდიდიდან ანაკლიამდე ველოტრასის მოწყობის საკითხი ჯერჯერობით იდეის დონეზე რჩება.

ველოინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტი კომპანია „ივერია მოტორსს“ ეკუთვნის, რომელსაც ფრანგულ კომპანია SMOOVE-თან ერთად 35-კილომეტრიანი ველოტრასა უნდა მოეწყო.

როგორც „ივერია მოტორსის“ წარმომადგენელი კონსტანტინე შერვაშიძე „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას განმარტავს, ველოტრასის მოწყობის საკითხი შეჩერებულია, რადგან ადგილობრივ ხელისუფლებას ინტერესი აღარ გამოუჩენია.

– გვქონდა იდეა, ჩამოვაყალიბეთ კონცეფცია. გვქონდა შეხვედრები ადგილობრივ ხელისუფლებასთან, წინაპირობები, მაგრამ შემდეგ ამას გაგრძელება არ ჰქონდა. ოფიციალურად ხელისუფლებისთვის არ მიგვიმართავს. ფრანგული მხარე მზად იყო, რომ პროექტი დაესპონსორებინა. მაგრამ, თუ ნება არ არსებობს, არაფერი გამოვა. საუბარი იყო ტერიტორიის გამოყოფაზე, ბიუჯეტზე, რაშიც სახელმწიფოს ჩარევა და აქტიურობა იყო საჭირო. თავიდან სურვილი ჰქონდათ და შემდეგ, როგორც ჩანს, ინტერესი დაკარგეს. სამომავლოდ თუ შემოგვეხმიანებიან, არ ვიცი. მათ იციან, რა იდეა გვქონდა, ზოგადი ინფორმაცია მივაწოდეთ და, თუ დაინტერესდებიან, ჩვენ ისევ მზად ვართ, – აღნიშნავს შერვაშიძე.

მისივე თქმით, მთავარი გათვლა, რომელიც ველოტრასის მოწყობას ჰქონდა, ტურისტული ინფრასტრუქტურის მეტად განვითარება იყო.

– ტურისტულ ინფრასტრუქტურაზე ზრუნვა რომ დაიწყო, ჩვენ ადგილობრივ ხელისუფლებას იდეა იმიტომ მივაწოდეთ. გათვლა იყო ტურისტებზე, იაფ მგზავრობაზე, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაზე და ა.შ. თავდაპირველად ველოტრასა, ველოსადგომები მოეწყობოდა, 100 ველოსიპედი იქნებოდა,

შემდეგ უკვე, ინტენსივობიდან გამომდინარე, მათი რაოდენობაც გაიზრდებოდა. ტურისტული მიმართულებით იდეა საკმაოდ კარგი და მნიშვნელოვანია, – განმარტავს კონსტანტინე შერვაშიძე.

„ბიზნესპრესნიუსი“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასაც დაუკავშირდა. როგორც მერიის პრესსამსახურში განგვიცხადეს, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გაერთიანების შემდეგ აღნიშნულ საკითხზე მერიისთვის არავის მიუმართავს.

– ეს იყო მუნიციპალიტეტების გაერთიანებამდე იდეის დონეზე, ხოლო მუნიციპალიტეტის გაერთიანების შემდეგ, აღნიშნულთან დაკავშირებით წინადადებით არავინ შემოსულა. არც მაშინ და არც შემდეგ, ოფიციალურად სურვილი არავის გამოუთქვამს. ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული პროექტი არ განხორციელდება. ამ ეტაპზე წინადადება შემოსული არ არის, – აცხადებენ მერიაში.

კითხვაზე, ხომ არ გეგმავს ხელისუფლება დამოუკიდებლად ზუგდიდიდან ანაკლიამდე ველოსტრასის მოწყობას ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, პრესსამსახურში აცხადებენ, რომ ახლო მომავალში მსგავსი პროექტი დაგეგმილი არ არის.

– ამ ეტაპზე ზუგდიდში მიმდინარეობს წყალარინებისა და წყალმომარაგების პროექტი, რომლის საერთო ღირებულება 150 მილიონ ლარზე მეტია. სამუშაოები 2019 წელს დასრულდება, რის შემდგომაც დაგეგმილია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, – აცხადებენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში.

ზუგდიდიდან ანაკლიამდე ველოტრასის მოწყობის იდეა ერთი წლის წინ გაჩნდა. მისი სავარაუდო ღირებულება 5 მილიონ დოლარამდე იყო. რაც შეეხება ფრანგულ კომპანია SMOOVE-ს, რომელსაც ქართულ მხარესთან ერთად ველოტრასა უნდა გაეკეთებინა, მსოფლიოს 10-ზე მეტ ქვეყანაში ველოსიპედების გაქირავების ტერმინალები აქვს მოწყობილი. კომპანია 2008 წელს შეიქმნა, დიზაინის შემუშავების, დამზადების, მონტაჟისა და ავტომატიზებული ველოგაქირავების სისტემის კონტროლისა და მათი ტექნიკური მომსახურების, მართვისა და დამატებითი ველოსერვისის შექმნის მიზნით.

ბპნ

ლუქსემბურგი — ევროპის ფინანსური ლოკომოტივი

ლუქსემბურგი ყოველთვის იყო ერთიანი ევროპის ლოკომოტივი და ევროკავშირის ფინანსური ცენტრის პრეტენდენტი.

რა კონკურენტულ უპირატესობებს ფლობს ლუქსემბურგი? ლუქსემბურგი არასოდეს შედიოდა ოფშერების სიაში და გააჩნია ფინანსური ცენტრის კარგი რეპუტაცია განვითარებული საბანკო სისტემითა და საფონდო ინფრასტრუქტურით. მშპ-ს მიხედვით, ეს ქვეყანა ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიო ეკონომიკებს შორის. სხვადასხვა მონაცემებით, სწორედ ფინანსური სექტორი უზრუნველყოფს ქვეყნის მშპ-ს მეოთხედს. ქვეყნის ეკონომიკა არის სტაბილური, მის უახლეს ისტორიაში არ მომხდარა კრიზისები, რომელიც მაგალითად, კვიპროსზე 2013 წელს მოხდა, მაშინ როცა ასევე იზარალეს უცხოელმა ინვესტორებმა. ქვეყანაში ინვესტიციების მოსაზიდად გატარებული გამიზნული პოლიტიკის შედეგად კი გამართულია სამართლებრივი ბაზა და სასამართლო სისტემა, რომლებიც იცავენ უცხოურ ინვესტიციებს. ინგლისური ენა არ არის სახელმწიფო, თუმცა ამ ენაზე ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა საუბრობს, უფრო მეტიც, ნებისმიერი სახის დოკუმენტი შეგიძლიათ მიიღოთ ორ ენაზე.

საოჯახო კაპიტალის ქონისა და მართვისთვის ლუქსემბურგში 2007 წელს შეიქმნა ახალი ტიპის კომპანია SPF (Sociйtй de gestion de patrimoine familial), რომელიც სხვა ჩვეულებრივი კომპანიისგან განსხვავდება საქმიანობის მიზნების მიხედვით: SPF იქმნება და ფუნქციონირებს ფინანსური აქტივების შეძენის, ქონებისა და მართვისთვის, ანუ ითავსებს საოჯახო საფულის ფუნქციას. მსგავსი კომპანიის აქციონერი შეუძლია გახდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს ან „თრასტს“.

რაც შეეხება ნაკლოვანებებს, ეს არის კომპანიების ძალიან ვიწრო საქმიანობის სფერო და მომსახურების სიძვირე, რომელიც, ხარისხთან ერთად, კვიპროსისგან განსხვავებით, მეტ თანხას ითხოვს.

ბპნ

მდიდრები ოფშორებს ტოვებენ — სად და რატომ გადაადგილდება მულტიმილიონერების კაპიტალი?

მდიდრები, რომლებიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ცხოვრობენ, ტრადიციულად, კეთილგანწყობილნი არიან ევროპული, განსაკუთრებით კი შვეიცარიული ბანკების მიმართ, როგორც მათი აქტივების შენახვის სანდო საშუალებისა.

ამასთან, CRS (საგადასახადო ინფორმაციის ავტომატური გაცვლა) ეპოქის დაწყებამდე და უცხოური კომპანიების კონტროლის შესახებ რეგულაციების დაწყებამდე თავად აქტივების ფლობა ფორმდებოდა შემდეგ ოფშორულ ზონებზე – ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, ბაჰამა, ბერმუდი. ამ ქვეყნებში განთავსებული სტრუქტურები წყვეტდნენ ორ ამოცანას: ერთდროულად უზრუნველყოფდნენ აქტივების დაცვასა და საგადასახადო ეფექტურობას. თუმცა, როგორც Forbeს.რუ წერს, ახალდაწესებულმა რეგულაციებმა რუსეთში და ცივილიზებულ ქვეყნების მხრიდან ინფორმაციის მიმოცვლის შემოღებამ, პრაქტიკულად, ამ უპირატესობის ნიველირება მოახდინა.

რატომ აღარ არის ოფშორები მოდაში?

ოფშორული კომპანიები უმრავლეს შემთხვევაში საერთაშორისო კომპანიებისთვის სპეციალური რეჟიმის ფარგლებში ფუნქციონირებენ. ეს ითვალისწინებს, რომ კომპანია არ აწარმოებს საქმიანობას ინკორპორაციის ქვეყნის ტერიტორიაზე და დიდი ალბათობით, იმართება უცხოეთიდან. თავად ამ რეჟიმის არსებობა უკვე ზრდის რისკებს მსგავსი კომპანიების აღიარებისა საგადასახადო რეზიდენტების მხრიდან, ხოლო CRS იურისტების ძალის მოკრების პირობებში რჩება მხოლოდ ფსონების დადების შესაძლებლობა, თუ რომელი უცხოური კომპანია იქნება პირველი მსხვერპლი. ოპტიმიზმს არ მატებს ოფშორებში თანხის განთავსებას ასევე „პანამაგეიტი“, რომლის ფარგლებშიც ოფშორებში რეგისტრირებული პირების კონფიდენციალური ინფორმაციის მასობრივი გაჟონვა მოხდა.

საგადასახადო უპირატესობებზე უარი და ოფშორულ ქვეყნებში რისკების ზრდის ფონზე ინვესტორების ყურადღება გადაერთო უფრო მეტად დაცულ იურისდიქციებზე, სადაც შეიძლება საოჯახო კაპიტალის მართვა და ფლობა, მაგალითად, კვიპროსსა და ლუქსემბურგზე. ეს ორივე ქვეყანა ევროკავშირის წევრია, უზრუნველყოფენ დაცულობის მაღალ ხარისხს.

და მაინც, რას გვთავაზობენ კვიპროსი და ლუქსემბურგი?

კვიპროსი უკვე არ არის ოფშორი

კვიპროსი არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული უცხოური იურისდიქცია. ეს ქვეყანა 2013 წლიდან გაირიცხა ოფშორული ქვეყნების რიგებიდან, რამაც მისი პოზიციები დამატებით გაამყარა. რატომ უყვართ კვიპროსი? პირველ რიგში, განვითარებული სამართლებრივი სისტემის გამო, რომელიც დაფუძნებულია ინგლისურ სამართალზე, რომელიც ბევრ ქვეყანაში არარსებულ „თრასტ“ ინსტიტუციებს გვთავაზობს. უფრო მეტიც, კვიპროსული „თრასტი“ ინგლისური ორიგინალისგან კიდევ უფრო შორს წავიდა და კაპიტალის პატრონს სთავაზობს მეტად გაფართოებულ უფლებებს, რომელიც მას საშუალებას აძლევს პირადად აკონტროლოს სტრუქტურა, რასაც ინგლისის შემთხვევაში ვერ მიაღწევთ.

კვიპროსზე არ არის სპეციალიზებული საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმები კომპანიებისა კერძო კაპიტალისთვის. ყველაზე ხშირად აქტივების ფლობისთვის გამოიყენება კერძო კომპანიები შეზღუდული პასუხისმგებლობით ან „თრასტები“. ორივე შემთხვევაში საფუძველს ქმნის ბრიტანული კანონმდებლობა, რომელიც არსებითი ცვლილებების გარეშეა წარმოდგენილი.

ოფშორებისგან განსხვავებით, კვიპროსზე მოქმედებს კორპორაციული გადასახადი, რომელიც შეადგენს 12,5%-ს, თუმცა დგინდება გამონაკლისები, მაგალითად, დივიდენდების მიღება საერთო წესის თანახმად თავისუფლდება გადასახდელისგან.

კვიპროსზე მუშაობს დიდი რაოდენობით სერვისპროვაიდერები, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან მსგავს მომსახურებაზე. ბაზარზე კონკურენცია მაღალია, შესაბამისად, ხარისხი მაღალი და ფასები – მიმზიდველი.

რა უჯდებათ საქართველოში დიეტა და სწორი კვება

ჭარბწონიანობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები მსოფლიოში უამრავ ადამიანს აწუხებს, მათ შორის საქართველოშიც.

New England Journal of Medicine-ს კვლევის მიხედვით, დედამიწის მოსახლეობის მესამედი ჭარბწონიანობას ებრძვის. ამავე მონაცემებით, დღეს მსოფლიოში 100 მილიონზე მეტი ბავშვი და 1 მილიარდზე მეტი ზრდასრული ადამიანია იტანჯება სიმსუქნით.

ჭარბწონიანობას მსოფლიოს ქვეყნები სხვადასხვა მეთოდებით ებრძვიან. ასევეა საქართველოშიც, ჩვენთან ზოგიერთი სასურველი წონის მისაღწევად შიმშილს იწყებს, ზოგიერთი კი ინტერნეტში გავრცელებულ სხვადასხვა დიეტებს იცავენ, ანუ თვითნებურად ცდილობენ სასურველ წონის მიღებას, ზოგიც კი ენდოკრინოლოგს და დიეტოლოგს მიმართავს და უფრო ჯანსაღი კვებით ცდილობს სასურველი წონის მიღწევას. ყველა შემთხვევაში დიეტის დაცვა ქართველებს საკმაოდ ძვირი უჯდებათ.

ბოლო რამდენიმე წელია საქართველოში ყველაზე პოპულარული „დუკანის დიეტაა“. აღნიშნული დიეტა რომ სრულფასოვნად დაიცვა, დღეში საშუალოდ 12 ლარის პროდუქტი უნდა შეიძინო. გამოდის, რომ ამ დიეტის დაცვა თვეში 360 ლარი დაჯდება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „დუკანის დიეტა“ სხვადასხვა ეტაპს მოიცავს და ხანგრძლივია, შესაბამისად, ის რამდენიმე თვეც შეიძლება გაგრძელდეს.

უფრო იაფი ჯდება ე.წ. შიმშილის დიეტა, თუმცა ის ორგანიზმისთვის საკმაოდ მავნებელია. რაც შეეხება დიეტოლოგების მიერ დანიშნულ „დიეტას“ ანუ ჯანსაღ კვებას, ის საკმაოდ ძვირი ჯდება. როგორც სპეციალისტები ამბობენ, სწორი კვებისა და

დიეტის დროს აუცილებელია, რომ ადამიანმა ყველა სახის პროდუქტი მიიღოს, როგორებიცაა ხორცი, ბოსტნეული, ხილი, რძის პროდუქტები. ამ დროს კი ხარჯმა შესაძლოა დღიურად 15 ლარსაც კი გადააჭარბოს (თვეში 450 ლარი). თუ ამას სპორტულ აქტივობას დავუმატებთ, ცურვას ან სპორტდარბაზში სიარულს, ეს ხარჯს საშუალოდ 100 ლარით გაზრდის. სპორტულ აქტივობებს კი დიეტოლოგები ყველა პაციენტს ურჩევენ.

როგორც ენდოკრინოლოგი, მედიცინის დოქტორი თამარ ზერეკიძე „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, დიეტისა და სწორი კვების მსურველთა მომართვიანობა გაიზარდა და ტენდენციაც შეიცვალა.

– ადრე თუ ძირითადად სიმსუქნის პრობლემის მქონე პაციენტები მოდიოდნენ, ახლა ისეთებიც მოდიან, ვისაც ნორმალური წონა აქვთ და უნდათ, რომ ჯანსაღად იკვებონ ან უბრალოდ რამდენიმე კილოგრამი აწუხებთ. ბავშვების შემთხვევებიც გაზრდილია. რაც შეეხება ქალებსა და კაცებს, ვერ ვიტყვი რომელი უფრო ხშირად მოდის. ორივე შემთხვევაში გვაკითხავენ, – აცხადებს ზერეკიძე.

მისი თქმით, როდესაც პაციენტი დიეტის გამო აკითხავს, პირველ რიგში, სწორი კვების რეჟიმს ურჩევენ და არა ძალიან დაბალკალორიულს.

– ძალიან დაბალკალორიულ რეჟიმზე კლება აუცილებლად ხდება, მაგრამ მას შეიძლება სხვადასხვა გართულება მოჰყვეს. ამიტომაც ჩვენ ხანგრძლივ სწორ კვებას ვურჩევთ, ისეთს, რომელიც მთელი ცხოვრება უნდა დაიცვას, მთლიანად ცხოვრების სტილი უნდა შეიცვალოს.

თითოეული ადამიანისთვის დიეტა ინდივიდუალურად დგინდება. ყურადღებას ვაქცევთ სქესს, ასაკს, პროფესიას, ჯანმრთელობას, ფსიქოლოგიური სტატუსს. აქედან გამომდინარე, პაციენტთან ერთად ვცდილობთ ავარჩიოთ შესაფერისი რეჟიმი. ამასთან ერთად, ვცდილობთ, რომ პაციენტის გემოვნებაც გავითვალისწინოთ, – აღნიშნა ზერეკიძემ.

დიეტა და სწორი კვება ხშირად გარკვეულ ფინანსებთან არის დაკავშირებული, რადგან სწორი კვების დროს მენიუ მრავალფეროვანი და განსხვავებული უნდა იყოს.

– დიეტისა და სწორი კვების დროს ადამიანმა ყველაფერი უნდა მიირთვას. მთელი დღის განმავლობაში უნდა მიიღოს წყალი, რძის პროდუქტები ყოველდღიურად, კვირაში 2-3-ჯერ ხორცი, ბოსტნეული ცოცხალი ან მოხარშული 500-700 გრამი დღის განმავლობაში, ასევე დღის განმავლობაში ხილი 300-500 გრამამდე, ბურღულეული 100-200 გრამი დღის განმავლობაში.

დღის განმავლობაში რძის პროდუქტებიდან ორი სახეობა მაინც უნდა მივიღოთ. ბოსტნეული და ხილი ყოველდღიურად აუცილებელია. მის მიხედვით შეიძლება გამოითვალოს, რა დაუჯდება ადამიანს დიეტა და ჯანსაღი კვება.

გარდა ამისა, ფიზიკურ დატვირთვასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ელემენტარულით შეიძლება დავიწყოთ, ფეხით სიარულით, ვიღაცას იოგა ურჩევნია, ზოგს აუზზე სიარული. – განაცხადა ზერეკიძემ.

New England Journal of Medicine-ს კვლევის მიხედვით, დედამიწის მოსახლეობის მესამედი ჭარბწონიანობას ებრძვის. ამავე მონაცემებით, დღეს მსოფლიოში 100 მილიონზე მეტი ბავშვი და 1 მილიარდზე მეტი ზრდასრული ადამიანია ჭარბწონიანი. New England Journal of Medicine-ს მკვლევარები სიმსუქნის მთავარ პრობლემად არა ფიზიკური აქტივობის ნაკლებობას, არამედ არაჯანსაღ საკვებს, სწრაფ კვებას უკავშირებენ. მათი გათვლებით, საგანგაშოა დინამიკა ბავშვებში.

ამასთან, ბოლო კვლევების მიხედვით, სიმსუქნე წლის განმავლობაში იმაზე მეტ ადამიანს კლავს, ვიდრე ავტოავარიები, ტერორისტული თავდასხმები და ალკჰაიმერი, ერთად აღებული. ჭარბწონიანობაზე წლიური სიკვდილიანობის 7% მოდის.

ბპნ

ინგა გრიგოლია: „მოძალადე მემუქრება, რომ თუ არ დავუბრუნებ ქონებას, სახლის კარს შემომიმტვრევს“

„რამდენიმე წელია, ვცხოვრობ სრულ საგიჟეთში“

19 მაისს ტელეწამყვანმა ინგა გრიგოლიამ ფეისბუქით საგანგაშო წერილი გამოაქვეყნა, სადაც წერს, რომ წლებია, მას მამაკაცი ემუქრება. ჯერ ციხიდან ურეკავდა, ახლახან კი ტელეკომპანიაშიც მიაკითხა.

მამაკაცმა წერილი დაუტოვა, სადაც აფრთხილებს, რომ 20 მაისს სახლის კარს შეუმტვრევს.

ინგა გრიგოლია ფეისბუქში წერს:

„ძალიან ვრცელი პოსტის დაწერა მიწევს, პრინციპში, პოსტიც არაა, ვრცელი წერილია. უკვე თითქმის ხუთი წელია, წელიწადში რამდენჯერმე ვაპირებ, დავწერო, მაგრამ მერე ვშლი ხოლმე. ახლა, უბრალოდ, გამოსავალს ვეღარ ვხედავ. გადავწყვიტე, ხვალიდან შეიარაღებულმა ვიარო. აი ასე, მარტივად ვაცხადებ – ხვალიდან სახლიდან გავალ მხოლოდ შეიარაღებული, მხოლოდ იმიტომ, რომ ვცხოვრობ ქვეყანაში, სადაც ქალების (მით უფრო, მარტოხელა ქალების) უფლებებს სახელმწიფო დიდად ვერ იცავს, რადგან მრავალი წელია, ვითხოვ დახმარებას და არაფერი გამომდის.

სულ ვაშუქებ სხვებზე ძალადობის თემას – მოკლული ქალების, ნაცემი ქალების, ზეწოლისა და ტერორის ქვეშ მყოფი ქალების თემას და ჩემი რეაქცია ამ დროს ყველაზე მძაფრია ხოლმე. მე არ მინდა, მომკლან! მე არ მინდა, ვიცხოვრო ძალადობის ქვეშ! მე არ მინდა, ჩემზე ძალადობა გახდეს ჩემი მეგობრების გადაცემებისა და რეპორტაჟების თემა. საერთოდ არ მინდა სიკვდილი და არც ვაპირებ ჯერ! მაგრამ მე არ ვიცი, სახლიდან რომ გავალ, რა შეიძლება დამემართოს.

რამდენიმე წელია, ვცხოვრობ სრულ საგიჟეთში და რამდენიმე წელია, თავი მძაფრსიუჟეტიანი ფილმის გმირი მგონია, რომელსაც მანიაკი დასდევს და როდის წაახრჩობს, არ იცის.

ახლა მოგიყვებით ამბავს, რომელზეც გთხოვთ, არ გაგეცინოთ, რადგან სასაცილო არაა, საშიში ამბავია. თავიდან მეც მეცინებოდა, ჩემს მეგობრებსაც ეცინებოდათ. დღეს უკვე აღარ მეცინება.

მოკლედ, ბევრი წლის წინ, თუ არ ვცდები, 2011 იყო, ჩემს ტელეფონზე დაიწყო უცნაური ზარები. ვიღაც კაცი რეკავდა და მეუბნებოდა, რომ ჩემი შვილის მამა იყო (მარიამის მამა გარდაცვლილია). ძალიან რომ შემაწუხა, გავარკვიე, ციხიდან ირეკებოდა და აღარ ვპასუხობდი ციხის ნომრებს.

ერთ დღეს, უკვე 2013 წელი იყო, როცა საყოველთაო ამნისტია გამოცხადდა, უცხო ნომერი რეკავს და მეუბნება, მე ვარ შენი შვილის მამა, შენს სახლთან ვდგავარ და ჩამოდიო. მოკლედ, 2013-ში გამოვიდა ციხიდან.

შოკში ჩავვარდი, რადგან აღარ ჩერდებოდა ზარები დღეები, თვეები. ვიღაც ავადმყოფი ტიპი რეკავდა გაუჩერებლად და ითხოვდა ჩემგან, დამებრუნებინა მისი ქონება, რაღაც ფული და მენახებინა მისი შვილი, სახელად თამარი (ჩემს შვილს, მოგეხსენებათ, მარიამი ჰქვია). იძულებული გავხდი, განცხადება დამეწერა პოლიციაში, რადგან რაღაც გაუგებარ ქონებას და ფულს მთხოვდა და იმუქრებოდა. ითხოვდა არარსებულ შვილთან შეხვედრას.

ვიარე პოლიციაში, დაიწყო გამოძიება, გამომძიებლები მშვიდად მიხსნიდნენ, რომ ტიპი ამტკიცებდა, თითქოს ჩემი ქმარი იყო, რომელსაც ქონება წავართვი. ყველაზე გულისამრევი ის იყო, რომ, როცა ამ ტიპის ჩვენებას მიკითხავდნენ, თან ისე იღრიჭებოდნენ, თითქოს ძალიან გასართობი ამბავი ხდებოდა.

დღემდე გრძელდება ეს ამბავი, დღემდე ვცხოვრობ წარმოუდგენელი ფსიქოლოგიური ძალადობის ქვეშ. უბედურება ისაა, რომ ტიპმა იცის ჩემი სახლი, ჩემი მშობლების სახლი, მარიამიც კი შეხვდა ერთხელ კართან. მიადგა მამაჩემს და ეუბნება, ინგას ქმარი ვარო და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მამაჩემმა კინაღამ მოკლა.

არ მთავრდება ეს ჰიჩკოკობა. პერიოდულობით ვთხოვდი პოლიციას დაცვას, აქამდე მეუბნებოდნენ, რომ კანონი არ აძლევდა დაჭერის საშუალებას, რადგან პირდაპირი მუქარა, რომ რამეს მიზამს (მაგალითად, მომკლავს), არ იყო. აღბათ ქალი აუცილებლად უნდა მოკვდეს, რომ მოძალადე დაიჭიროს.

ამ დღეებში უკვე ახალი წერილი და მუქარა მივიღე, რომელიც ტელევიზიაში დატოვა ამ ტიპმა (კადრებშიცაა დაფიქსირებული, როგორ აძლევს წერილს ჩემს თანამშრომელს), სადაც წერს, რომ 20 მაისამდე თუ არ დავუბრუნებ რაღაც ქონებას, სახლის კარს შემომიმტვრევს.

არასოდეს მეგონა, რომ მსგავსი პოსტის დაწერა მომიწევდა, მაგრამ სხვა გზას ვეღარ ვხედავ. ხო, დამავიწყდა, ეს ტიპი, რომელიც ამნისტიით გამოვიდა (მე ასე ვიცი), როგორც ვიცი, ყაჩაღობისთვის იხდიდა სასჯელს.

თავიდან მეგონა, რომ ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, თანდათან დავრწმუნდი, რომ ან მოგზავნილია, ან ჩვეულებრივი მანიაკი! ეს დღეებია, არ ვარ საქართველოში. წამოსვლამდე საქმის კურსში ჩავაყენე ახალი შს მინისტრის პრესცენტრი (იმედი მაქვს, ამჯერად მაინც დამიცავენ).

ჩამოვალ თუ არა, პირდაპირ ვაპირებ, წავიდე პოლიციაში, რადგან ხვალისთვის დამიანონსა ამ მანიაკმა სახლის კარის შემომტვრევა.. არ ვიცი, ამჯერად რითი დასრულდება ჩემი მიმართვა პოლიციის მიმართ, თუმცა კი, ვიმედოვნებ, ამიტომ, როგორც ზევით დავწერე, ხვალიდან შეიარაღებული ვივლი.

მიზანმიმართულად არ მივეცი უფლება არც ერთ ჩემს მეგობარს და ოჯახის წევრ მამაკაცს, რომ ქართულად „მომეყომარებინა“ ეს საქმე და ვინმეს გაეხია ცემაში. არ მინდოდა, ჩემ გამო ვინმე ჩემიანი დამეზარალებინა. მინდა, დამიცვას სახელმწიფომ! არ მინდა, ვინმემ სადარბაზოში მომახრჩოს!

ჰოდა, გადავწყვიტე, ხმამაღლა მომეყოლა ეს ყველაფერი. მადლობა, ვისაც ნერვი გეყოთ და წაიკითხეთ! დავამატებ – საქმეც იყო აღძრული, მაგრამ მაშინ ჯერ ადევნებაზე კანონი არ იყო და რადგან არ იყო ეს კანონი, დამტოვეს მარტო ჩვენს პრობლემასთან და საფრთხესთან პირისპირ“.

* * *

გუშინ, 20 მაისს, ინგა გრიგოლია შსს-ს მთავარ სამმართველოში მივიდა.

– მე მთელი ეს წლები პოლიციამ ვერ დამიცვა. მე მაინტერესებს, როცა ეს ადამიანი მემუქრება, როგორ უნდა ვიცხოვრო – დამიცავს პოლიცია თუ ვინმე სახლის კარს რომ შემომიმტვრევს, დანა ავიღო, მანამდე სრულიად უშედეგო იყო ჩემ მიერ დაწერილი განცხადების შედეგი. ჩემს სახლთან არის კორპუსის დაცვა და თავადაც ჰყავთ ნანახი ეს ადამიანი. მან იცის ჩემი სახლის მისამართი, იცის ყველაფერი ჩემს შესახებ. მან იცის ჩემი მშობლების სახლი, ვარ მართლა მძაფრსიუჟეტიან ფილმში, რომელიც, არ მეგონა, თუ დამემართებოდა.

იმედს ვიტოვებ, რომ ახლა მაინც როცა კანონი არის ადევნებაზე, გამოძალვაზე, თუ სახელმწიფო ვართ, არ შეიძლება ასეთი რამე რეაგირების გარეშე დარჩეს. თუ მას პასუხისგებაში არ მისცემენ, კამერების წინ ვაცხადებ, ვიზრუნებ საკუთარი თავის დაცვაზე, არ მჭირდება ბოდიგარდები და მცველები, მე ვარ თავისუფალი ადამიანი და გადავწყვეტ, როგორ მოვიქცე, თუმცა ჩვენ ყოველ-

დღე ვაშუქებთ ძალადობის თემებს და შეიძლება ვინმე ასევე გამისწორდეს. მე მაინტერესებს ერთადერთი რამ – დამიცვას ჩემმა სახელმწიფომ! რა უნდა ქნას ჩემმა მეზობელმა სოფელში, რომელსაც ისიც არ შეუძლია, რომ პოსტი დაწეროს და დაცვა მოითხოვოს? ან ტელეეთერით ისარგებლოს არასოდეს ამ თემაზე მე ჩემი გადაცემით არ მისარგებლია, ვაკეთებდი ყოველთვის სხვა ქალებზე, თუმცა ყველა ჩემმა თანამშრომელმა იცის, რომ როცა მე ძალადობის თემას ვაკეთებდი, მქონდა მძაფრი რეაქცია, რადგან ჩემს თავს ეს გაუგებარი ისტორია ხდება. გუშინ, როცა ეს პოსტი დავწერე, გამომეხმაურა შს სამინისტრო და ვნახოთ, რა რეაგირება ექნება, – განაცხადა ინგა გრიგოლიამ.

* * *

ინგა გრიგოლიას განცხადებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც მუქარას გულისხმობს.

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით დაიწყო, რაც გულისხმობს მუქარას. საქმესთან დაკავშირებით ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები“, – განაცხადეს შსს-ში.

ანა დოლიძე დიმიტრი გვრიტიშვილს დღეს სასამართლოში უჩივლებს

„ტყუილს აქვს ფასი“

ანა დოლიძე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ – იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრი დღეს საქალაქო სასამართლოში დიმიტრი გვრიტიშვილს პატივისა და ღირსების შელახვისთვის უჩივლებს.

საქმე ეხება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ სამი თვის წინ გაკეთებულ განცხადებას, რომლის მიხედვითაც, ანა დოლიძე 2008 წელს რუსულ ორგანიზაციაში მუშაობდა და მას საქართველოს ინტერესების საზიანო ინფორმაციას აწვდიდა.

– ძალიან მნიშვნელოვანია დადგინდეს ერთხელ და სამუდამოდ კულტურა, რომ საზოგადო მოღვაწემ, განსაკუთრებით ისეთი მნიშვნელობის სტატუსის მქონე პირმა, როგორიც მოსამართლეა, უნდა იცოდეს, რომ ტყუილს აქვს ფასი. ხანდახან რეპუტაციულად ძალიან ძვირი ფასი. მოსამართლე გვრიტიშვილმა მოიტყუა, როდესაც მან თქვა, რომ მე აგვისტოს ომის დროს ვიყავი რუსეთში. ეს არის მტკნარი სიცრუე. მე ვაპირებ, რომ მას ეს დავუდასტურო მტკიცებულებების მეშვეობით სასამართლოში და შესაბამისად მოვთხოვო ამ ტყუილის უარყოფა საზოგადოებრივი საშუალებებით, – განაცხადა ანა დოლიძემ.

თავად დიმიტრი გვრიტიშვილი კი სასამართლოსგან ობიექტური გადაწყვეტილებას ელოდება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ამბობს, რომ მისი სტატუსიდან გამომდინარე, რომ არ გაჩნდეს ეჭვები, შესაძლოა, მან მონაწილეობა არ მიიღოს პროცესებში.

– საქმის განმხილველი მოსამართლისთვის მართლაც, რომ არ გამოიწვიოს ობიექტურად საზოგადოებაში ეჭვები ჩემი სტატუსიდან გამომდინარე შესაძლებელია, მივიღო გადაწყვეტილება, რომ უშუალოდ არც მივიღო მონაწილეობა პროცესში და ეს წარმომადგენლის მეშვეობით განვახორციელო, -განაცხადა დიმიტრი გვრიტიშვილმა და აღნიშნა, რომ მან იმის შესახებ, რომ ანა დოლიძესთან სასამართლო დავა მოუწევს, მედიისგან გაიგო.

ურეკში მცირე სატვირთო მანქანა ჯერ ქვეითს, შემდეგ კი დიდ სატვირთოს დაეჯახა

დაიღუპა ახალგაზრდა მამაკაცი

ურეკში ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. შემთხვევის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი დაიღუპა.

მცირე ზომის სატვირთო მანქანა ჯერ ქვეითად მოსიარულეს, შემდეგ კი სატვირთო მანქანას დაეჯახა. დაშავებულია 3 ადამიანი. ერთ-ერთის მდგომარეობა კრიტიკულია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

იგოეთთან მინივენი ამოტრიალდა. დაშავდა 4 ადამიანი

19 მაისს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა იგოეთთან.

მინივენის ტიპის ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ამოტრიალდა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ავარიის შედეგად დაშავებულია 4 ადამიანი. მათ შორის ორი არასრულწლოვანია.

დაშავებულები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ კასპის საავადმყოფოში გადაიყვანა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება სსკ 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

ჭიათურაში მაღაროს მუშა ალექსანდრე დეკანოიძე დაშავდა

ჭიათურაში კოროხნალის მაღაროში მუშა დაშავდა. შემთხვევა გუშინ, 20 მაისს, გამთენიისას მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, ალექსანდრე დეკანოიძეს ქვა დაეცა.

დაშავებული ქუთაისის ცენტრალურ საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ექიმების თქმით, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

– პაციენტს ქალა-ფუძის მოტეხილობა, ხერხემლის მალის მოტეხილობა და ტვინის შეშუპება აღენიშნება, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ საავადმყოფოს დირექტორმა გიორგი ხვედელიძემ.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

მერკელი-პუტინი: შეხვედრა შედეგის გარეშე

სოჭში გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ჩავიდა. ის ვლადიმერ პუტინმა მიიღო. შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტის სოჭის რეზიდენციაში შედგა. გერმანელ სტუმარს ყვავილები მიართვეს. პუტინი მას გულთბილად მიესალმა:

– კეთილი იყოს თქვენი ფეხი რუსულ მიწაზე!

ანგელა მერკელმა პუტინს მადლობა გადაუხადა. ამის შემდეგ რუსეთ-გერმანიის ლიდერები განმარტოვდნენ. მოლაპარაკება ისეთი იდილიური არ გამოდგა, როგორიც შეხვედრა. რუსეთმა თავისი პოზიციები სირიის, ირანისა და დონბასის მიმართ არ შეიცვალა. შესაბამისად, რუსეთთან რამე კონკრეტულ საკითხზე შეთანხმება შეუძლებელი აღმოჩნდა.

ანგელა მერკელმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ უკრაინის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, სტატუსი უნდა შენარჩუნდეს. კანცლერმა გულისტკივილით შენიშნა, რომ ამ წინადადებამ პუტინი აშკარად გააღიზიანა. თავის მხრივ, რუსეთის პრეზიდენტმა ჟურნალისტებს განუცხადა:

– შესაძლოა ვინმეს სურს, რომ უკრაინის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, სტატუსი შენარჩუნდეს. კეთილი და პატიოსანი, მაშინ ფული გადაიხადეთ! ჩვენ, რუსები, ამის გაკეთებას არ ვაპირებთ!

უთანხმოებამ განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი დონბასთან მიმართებით. პუტინმა კვლავ დააფიქსირა, რომ ჯერ დონბასის სტატუსი უნდა განისაზღვროს, შემდეგ კი გაეროს სამშვიდობო ჯარების ჩაყენებაზე შეიძლება ლაპარაკი.

– უკრაინის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას სათანადო პოლიტიკური ნება არ გააჩნია. შესაბამისად, მასთან დიალოგს აზრი არ აქვს, – თქვა პუტინმა.

პეტრო პოროშენკომ, თავის მხრივ, დასავლეთის ქვეყნებს მიმართა და პროექტ „ჩრდილოეთი ნაკადი-2“-ის შეჩერება მოითხოვა. გერმანელები ამ პროექტის განხორციელებას კატეგორიულად მოითხოვენ. ევროპის სახელმწიფოები (პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები) ამის წინააღმდეგი არიან. აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ პროექტის განხორციელება დაუშვებელია. ის სანქციებით დაემუქრა ყველა იმ კომპანიას, რომლებიც ამ პროექტის განხორციელებაში მიიღებენ მონაწილეობას. ტრამპი ევროპას, კერძოდ კი გერმანიას, „სავაჭრო ომითაც“ დაემუქრა.

სოჭში მერკელმა აღნიშნა, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“ უნდა განხორციელდეს, თუმცა ამასთან დაკავშირებითაც პრობლემები არსებობს. რუსეთს არ სურს უკრაინის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, სტატუსის შენარჩუნება. მერკელი, თავის მხრივ, იძულებულია, გარკვეულწილად უკრაინელთა ინტერესები დაიცვას. აშშ-ის მხრივ ზეწოლაც გერმანიის კანცლერს ფრიად არასასურველ მდგომარეობაში აყენებს.

– მერკელს არჩევანის გაკეთება მოუწევს: ან აშშ-სთან მეგობრობის შენარჩუნება და პროექტზე უარის თქმა, ან რუსეთთან კავშირი და ამერიკელებისთვის ზურგის შექცევა, – წერს რუსი ექსპერტი კისელიოვი.

ამერიკელებისათვის ზურგის შექცევა არც მერკელს, არც დღევანდელ ევროპას არ შეუძლია, რადგან მარტო ვერ გაუმკლავდება იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა. მერკელიც სოჭიდან ხელცარიელი წავიდა.

ერდოღანზე ტერაქტი მზადდება?

თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ ერდოღანი ბოსნია-ჰერცეგოვინაში ოფიციალური ვიზიტით ჩავა.

ვიზიტის წინ ერთ-ერთმა ტელეარხმა სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა: ერდოღანზე ტერაქტი მზადდება!

თურქეთის, აგრეთვე ბოსნიის სპეცსამსახურები ტერორისტების გამოვლენაზე მუშაობენ.

არჩევნები ერაყში

ერაყში საპარლამენტო არჩევნები დასრულდა. ყველაზე მეტი ხმა მოიპოვა კოალიციამ, რომელსაც შიიტი მქადაგებელი აზ-სადრი ხლმძღვანელობს. ის ერაყის საშინაო საქმეებში ირანის ჩარევის წინააღმდეგია.

თავად სადრიმ განაცხადა, რონ პრემიერის პოსტზე პრეტენზიას არ აცხადებს. ეს გასაგებია, რადგანაც მიღებული ადგილების რაოდენობა კოალიციას არ აძლევს იმის საშუალებას, რომ მინისტრთა კაბინეტი დამოუკიდებლად დააკომპლექტოს. მას სხვა ძალებთან კოალიციის შექმნა მოუწევს.

ვენესუელის პრეზიდენტი ნარკომაფიასთან არის დაკავშირებული

აშშ-მ ვენესუელის პრეზიდენტი ნიკოლას მადური ნარკომაფიასთან კავშირში დაადანაშაულა. ასევე ნარკომაფიასთან კავშირშია მხილებული მმართველი ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე, კაბილიო.

მადუროსა და კაბილიოს მიმართ ამერიკელები სანქციებს შემოიღებენ.

გროზნო: თავდასხმა მართლმადიდებლურ ტაძარზე

გროზნოში უცნობი პირები მთავარანგელოზ მიქაელის ეკლესიას დაესხნენ თავს. ატეხილი სროლის შედეგად დაიღუპა ორი პოლიციელი, ერთი დაიჭრა. დაჭრილია აგრეთვე მრევლის ერთი წევრი.

საპასუხო გასროლების შედეგად ტერორისტები ლიკვიდირებულ იქნენ. მიმდინარეობს მათი ვინაობის დადგენა.

მთავარანგელოზ მიქაელის ეკლესია გროზნოს ცენტრში, ახმად კადიროვის პროსპექტზე მდებარეობს.

პეტრო პოროშენკომ უკრაინის დსთ-დან გასვლის ბრძანებას ხელი მოაწერა

უკრაინის პრეზიდენტმა ქვეყნის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირიდან გასვლის ბრძანებას მოაწერა ხელი.

ინფორმაცია ამის შესახებ პეტრო პოროშენკომ „ტვიტერის“ პირად გვერდზე გამოაქვეყნა.

„იქ აღარაფერი გვესაქმება. ჩვენ ევროპისკენ ვიწყებთ მოძრაობას“, – დაწერა პოროშენკომ.

უკრაინა რუსეთთან და ბელორუსთან ერთად დსთ-ის ერთ-ერთი დამაარსებელი წევრი იყო. ორგანიზაციიდან გასვლის სურვილი ქვეყნის ხელისუფლებამ 2014 წელს გამოთქვა.

მელანია ტრამპი საავადმყოფოდან გაწერეს

აშშ-ის პირველი ლედი, მელანია ტრამპი, საავადმყოფოდან გაწერეს. მას თირკმლებზე ოპერაცია ჩაუტარდა. ამის შესახებ „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა დაწერა.

„შესანიშნავია, რომ ჩვენი პირველი ლედი თეთრ სახლში დაბრუნდა. მელანია თავს კარგად გრძნობს. მადლობა თქვენი ლოცვებისა და საუკეთესო სურვილებისთვის“, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

მელანია ტრამპს თირკმლის ემბოლიზაციის პროცედურა ჩაუტარდა. იგი 5 ღამის განმავლობაში იმყოფებოდა ვოლტერ რიდის ეროვნულ სამხედრო სამედიცინო ცენტრში.

როგორც მელანია ტრამპის ექიმმა განაცხადა, ემბოლიზაციის პროცედურის ჩატარების მიზეზი კეთილთვისებიანი სიმსივნე – ანგიომიოლიპომა გახდა.

რომან აბრამოვიჩს ბრიტანული ვიზა არ გაუგრძელეს

რუს ბიზნესმენსა და საფეხბურთო კლუბ ლონდონის „ჩელსის“ მფლობელ რომან აბრამოვიჩს ბრიტანული ვიზა არ გაუხანგრძლივეს. ამის შესახებ რუსი ბიზნესმენის გარემოცვა იუწყება.

რომან აბრამოვიჩის წინა ვიზას ვადა სამი კვირის წინ გაუვიდა, ხოლო ახალი ჯერ არ მიუციათ.

ზუსტად ამ მიზეზის გამო რომან აბრამოვიჩი ინგლისის თასის ფინალს ვერ დაესწრო, რომელიც 19 მაისს გაიმართა და რომელშიც მისმა გუნდმა „მანჩესტერ იუნაიტედი“ ანგარიშით 1:0 დაამარცხა.

რომან აბრამოვიჩის წარმომადგენლები და დიდი ბრიტანეთის საიმიგრაციო სამსახურები აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ.

სკრიპალი საავადმყოფოდან გაწერეს

გრუ-ს ყოფილი პოლკოვნიკი, სკრიპალი, რომელიც ინგლისში ცხოვრობდა, საავადმყოფოდან გაწერეს.

როგორც ცნობილია, სკრიპალი გაზ ნოვიჩოკით მოწამლეს. ინგლისის კონტრდაზვერვა ამაში რუსეთის სპეცსამსახურებს ადანაშაულებს.

– ჩვენ გაგვაჩნია უტყუარი საბუთები იმისა, რომ სკრიპალი რუსეთის სპეც-სამსახურებმა მოწამლეს, – განაცხადა ბრიტანეთის კონტრდაზვერვის უფროსმა, პაკერმა.

ახლა სკრიპალი უკვე სახლში იმყოფება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჯალეიდოსკოპი

შვედმა ქალმა შვილს სვირინგში დაშვებული შეცდომის გამო სახელი გადაარქვა

შვედმა ქალმა იოჰანა გიზელჰიოლ სანსტრიომმა გადაწყვიტა, თავისი შვილისთვის სახელი მას შემდეგ შეეცვალა, როდესაც სვირინგი ოსტატმა მისი სახელის ამოსვირინგების დროს შეცდომა დაუშვა.

ქალი უახლოეს სალონში მივიდა და ოსტატს სთხოვა, რომ მისთვის ხელზე თავისი შვილების სახელები ნოვი და კევინი ამოესვირინგებინა. მან ოსტატთან გამოსახულების დიზაინი შეათანხმა და პროცედურის დასრულების შემდეგ სახლში დაბრუნდა. იქ მან აღმოაჩინა, რომ მის ხელზე კევინის ნაცვლად კელვინი ეწერა. როდესაც 30 წლის სანსტრიომმა შეცდომა აღმოაჩინა, ატირდა.

– გული გამიჩერდა და მეჩვენებოდა, რომ სადაცაა გრძნობას დავკარგავდი, – აღიარა ქალმა.

ის სალონში დაბრუნდა, თუმცა პასუხად ოსტატს გაეცინა და უთხრა, რომ ვერაფრით დაეხმარებოდა და რომ მას უფრო დაკვირვებით უნდა ენახა სვირინგის ესკიზი. თუმცა ის მაინც დათანხმდა ქალისთვის კომპენსაცია გადაეხადა და იმ საავადმყოფოს მისამართი მისცა, სადაც სვირინგის მოშორება შეიძლებოდა. მაგრამ, როდესაც ქალმა ნახა, თუ მას რამდენი პროცედურის გადატანა მოუწევდა, რათა მთლიანად მოეცილებინა სვირინგი, ის თავის მეუღლეს მოელაპარაკა და შეთანხმდნენ, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ბავშვს სახელს შეუცვლიდნენ და კევინის ნაცვლად კელვინს დაარქმევდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

დინამოსა და კოლხეთის 3–3 ქულა

სამტრედია-დინამო 1:2

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე

0:1 კიტეიშვილი (40), 0:2 ივანისენია (70), 1:2 ა. ნინუა (90)

სამტრედია: მიგინეიშვილი, ბაჩიაშვილი (ა.ნინუა 46), ახალაძე, ქარქუზაშვილი, ჩაცუა, დაუშვილი, კირკიტაძე, ერისთავი (ფატჩი 34), მესიაჩენკო (ოლხოვი 74), გიი, ხაბეიშვილი

დინამო: ბულისკერია, რუხაია, თოთაძე, ლოჩოშვილი, კობოური, ნ.ნინუა, ივანისენია, შულაია (ძალამიძე 79), კიტეიშვილი, ხარაბაძე (ივანიშვილი 71), ზივზივაძე (ერგემლიძე 88)

გაძევება: ქარქუზაშვილი (68)

ლანჩხუთში ეროვნული ლიგის მეთორმეტე ტურის მატჩი გაიმართა, რომელშიც სამტრედიამ დინამოს უმასპინძლა. ბევრჯერ დაგვიწერია, რომ ევგრაფი შევარდნაძეზე ფეხბურთის თამაში ჭირს. ასე იყო ამჯერადაც, ბურთის ნორმალურად გორება და ტექნიკური თამაში შეუძლებელი გახლდათ და ეს რამდენიმეჯერ ძალიან კარგად გამოჩნდა.

პირველი ტაიმი ნელ ტემპში და სახიფათო მომენტების მწირი რაოდენობით ჩამთავრდა. პირველი რეალური სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს: მე-17 წუთზე ლევან ხარაბაძის ჩაწოდებულ ბურთს ერთი შეხებით დმიტრო ივანისენია გზავნიდა სამტრედიის კარში – ბურთი ომარ მიგინეიშვილმა მოიგერია.

შემდეგ დავით კირკიტაძემ თბილისელთა საჯარიმოში ითამაშა კარგად, მაგრად არაზუსტად დაარტყა და მომენტიც განიმუხტა. დაახლოებით იგივე მომენტი შეექმნა ტაიმის ბოლო ზაურ ხაბეიშვილს და მასაც მიზანმა უმტყუნა. ამ მომენტებს შორის კი დინამომ გაიტანა: მე-40 წუთზე სამტრედიელთა საჯარიმოსთან ბუდუ ზივზივაძემ იაქტიურა, მეტოქეს ბურთი აართვა, მისი გამჭოლი პასის შემდეგ მიგინეიშვილმა ბურთი ვერ შეიმაგრა და ოთარ კიტეიშვილმა თავისი გუნდი დააწინაურა.

მეორე ნახევრის დებიუტში მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლოთ, მაგრამ ბოლო წამს დემეტრე ბულისკერიამ ითამაშა კარგად და ინტერს გიის დარტყმული ბურთი კუთხურზე უკუაგდო ბურთი. მეორე ტაიმი უფრო აქტიურად გაგრძელდა. 65-ე წუთზე გიისა და ბულისკერიას დუელში გამარჯვებული ისევ მეკარე გამოვიდა.

მალევე სამტრედიელთა მდგომარეობა დამძიმდა – მოედნიდან გივი ქარქუზაშვილი გააძევეს და სათამაშო უპირატესობა დინამომ იგდო ხელთ. დედაქალაქელებმა მეორე გოლი 70-ე წუთზე გაიტანეს: კიტეიშვილის პასის შემდეგ ბურთი დმიტრო ივანისენიამ დაამუშავა, ძლიერად გაისროლა და ბურთი ჯერ ხარიხას გაარტყა, იქიდან კი კარში აღმოჩნდა. ეს უკრაინელი ლეგიონერისთვის დინამოელთა ფორმით გატანილი სადებიუტო გოლი აღმოჩნდა. დინამო ბევრს უტევდა, რამდენიმე მომენტიც გაუშვეს ხელიდან, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროს კი მასპინძლებმა ერთი ბურთი გაქვითეს და შეხვედრაც დედაქალაქელთა გამარჯვებით 2:1 დასრულდა.

კოლხეთი-სიონი 2:0

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

1:0 კახელიშვილი (6), 2:0 იმნაძე (90)

კოლხეთი: პოლტავცევი, კილასონია, მახარაძე, არზიანი (ტყემელაძე 55), პანამარიოვი, დანილოვი (კაბორე 79), მიხალიოვი, კახელიშვილი (კვასოვი 61), ჯიმშელეიშვილი, იმნაძე, ჭეიშვილი

სიონი: მუჯრიშვილი, მინდორაშვილი, გურეშიძე, ნოზაძე, ქიქავა, ხმალაძე, დვალი, მანაგაძე (სიხარულია 63), მიქაბერიძე, გაფრინდაშვილი (ლეჟავა 74), გიორბელიძე (ნოზაძე 83)

ფოთის კოლხეთმა ბოლნისის სიონს უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით – 1:0 დაამარცხა. შეხვედრაში ანგარიში მალევე გაიხსნა. გიორგი კახელიშვილის საჯარიმო დარტყმა მეკარე მიხეილ მუჯრიშვილმა მოიგერია, თუმცა, შეხვედრის მთავარმა არბიტრმა დავით ხარიტონაშვილმა მიიჩნია, რომ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა და გოლი ჩაითვალა.

გაშვებული გოლის შემდეგ ფოთელებმა საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გააკეთეს აქცენტი და მეტოქის შეცდომას ელოდნენ. ბოლნისელებმა კი, დიდი ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, თვალსასაჩინო ვერაფერი შექმნეს.

მეორე ნახევარიც ანალოგიური სცენარით გაგრძელდა. ბოლნისელები კვლავ უტევდნენ. განსაკუთრებით სახიფათო გამოდგა ჯაბა დვალის ჩაწოდების შემდეგ გურეშიძის თავური დარტყმა, რომელიც პოლტავცევმა მშვენიერ ნახტომში მოიგერია.

ბოლო წუთებში ბოლნისელები დიდი ძალებით წავიდნენ წინ, რითაც იმნაძემ ისარგებლა, რომელიც პირისპირ დარჩა მიხეილ მუჯრიშვილთან და გატანა არ გასჭირვებია.

საბოლოოდ 2:0 და ფოთელებმა უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვეს.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	11	9	0	2	24-6	27
2.დინამო	12	8	1	3	23-11	25
3.დილა	11	5	5	1	20-12	20
4.ჩიხურა	11	5	4	2	17-11	19
5.ტორპედო	11	5	2	4	15-11	17
6.რუსთავი	11	4	2	5	10-11	14
7.კოლხეთი	12	3	3	6	13-28	12
8.სამტრედია	12	1	5	6	6-13	8
9.სიონი	12	2	2	8	8-21	8
10.ლოკომოტივი	11	2	2	7	10-22	8

ცემა-ტყეპა რუსთავში

დინამო ფინალშია. ქუთაისმა შანსი დაიტოვა

რუსთავი-ქუთაისი 63:74

(17:21, 12:24, 19:14, 15:15)

ქუთაისმა რუსთავში 74:63 იმარჯვა და ნახევარფინალურ სერიაში ანგარიში გაათანაბრა – 2:2. გადამწყვეტი, მე-5 მატჩი ქუთაისში გაიმართება და გამარჯვებული გუნდი სუპერლიგის ფინალში გავა.

მატჩის დეტალები კი მეტად დამაფიქრებელია. რუსთავისა და ქუთაისის მატჩი 19:00 საათზე რომ დაიწყო, თითქმის 22:00 საათამდე გაგრძელდა. ცხადია, 3 საათი არ თამაშობდნენ, დროის გახანგრძლივების მიზეზი მეორე პერიოდის მიწურულს მატჩის 40 წუთით შეწყვეტა გახლდათ.

ერთ-ერთ ეპიზოდში, როცა ქუთაისი 15 ქულით იგებდა და პირველი ნახევრის დასრულებამდე სამიოდე წუთი რჩებოდა, იმერული კლუბის მწვრთნელი, კოტე ტუღუში არბიტრმა დავით ბერეკაშვილმა პროტესტის გამო ტექნიკურით რომ დააჯარიმა. დარბაზის დაცვის თანამშრომელმა ჩათვალა, რომ მსაჯსა და მწვრთნელს შორის კონფლიქტი იწყებოდა და ვითარების განსამუხტავად ტუღუშთან მიიჭრა, რომელსაც ბექა წივწივაძე გამოესარჩლა და შეიქმნა კონფლიქტური სიტუაცია.

აქ კი ვითარება უმართავი გახდა: ტრიბუნებიდან პოლიციელების ბოთლები და სხვადასხვა საგნების სროლა დაიწყეს, აღშფოთებული მაყურებელთა ნაწილი კი მოედანზე გადმოვიდა. მსაჯებმა თამაში შეწყვიტეს და მატჩიც ჩაიშლებოდა, რომ არა ორგანიზატორთა და რუსთავის მერის გონივრული გადაწყვეტილება. შეხვედრა რომ გაგრძელდა, უმეტესწილად რუსთაველთა მერის – ირაკლი ტაბაღუას დამსახურებაა, რომელიც მატჩს ესწრებოდა და ვითარების დაძაბვისთანავე მის განსამუხტავად ყველაფერი იღონა.

გარკვეული კონსულტაციების შემდეგ თამაშის ცარიელი ტრიბუნების წინაშე გაგრძელება გადაწყდა. დარბაზი მაყურებლებმა დატოვეს და გვარიანი პაუზის შემდეგ მატჩი განახლდა. რუსთაველები 15 ქულას კი აგებდნენ, თუმცა მესამე პერიოდში ჩამორჩენა 5 ქულამდე შეამცირეს, მაგრამ მასპინძლებს არ გაუმართლათ. რეგულარული ჩემპიონატი მე-7 ადგილზე დაასრულა და ნახევარფინალში გასვლა რომ მოახერხა, ეს ამ გუნდისთვის უკვე სოლიდური შედეგია. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა გასული წლის ჩემპიონს ნახევარფინალურ სერიაში 1 მატჩი მოუგო და ამ შეხვედრაშიც იბრძოლა, თუმცა ძალები ბოლომდე არ გაჰყვა.

დინამოელებმა გარდატეხა მესამე პერიოდში მოახდინეს, მანამდე კი მგზავრები არაფერს თმობდნენ. მეორე პერიოდის დასრულებამდე 1 წუთით ადრე მგზავრები 3 ქულით ჩამორჩებოდა, თუმცა დინამოელთა 2 შეტევა გაეპარა და დიდ შესვენებაზე მოქმედი ჩემპიონის 7-ქულიანი ლიდერობა დაფიქსირდა – 44:37.

მე-3 პერიოდში დინამოელებმა მჭიდრო დაცვა დააყენეს, რაც გაუვალი აღმოჩნდა მგზავრების მოთამაშეებისთვის და ანგარიშში სხვაობამ 10 ქულას გადააჭარბა. ბუბა ბერიშვილის გუნდმა პერიოდში მხოლოდ 5 ქულა მიითვალა, დინამოელებმა კი 16 ჩააგდეს და ბოლო ათწუთეულის წინ ჩემპიონი 18 ქულით დაწინაურდა.

18-ქულიანი სხვაობის აღმოფხვრა ერთ პერიოდში რეალურია, თუმცა დინამომ ეს არ დაუშვა. მეოთხედის შუაწელში მოედანზე მგზავრების სათადარიგონი გამოჩნდნენ, რომლებმაც გაიბრძოლეს, თუმცა ჩამორჩენის 10 ქულაზე ნაკლებით შემცირება ვერ მოახერხეს.

გამარჯვებულთა შორის 22 ქულით და 12 მოხსნით საუკეთესო იყო კაელ ტურპინი. 21 ქულა მოაგროვა მიხეილ ბერიშვილმა. მგზავრებში ათქულიან ზღვარს მხოლოდ ადრიან ბოუი ასცდა, რომელმაც 16 ქულა მიითვალა. 8-8 ქულა მოაგროვეს ოთარ ფხაკაძემ, ბერნარდ ნკალიმ და გიორგი ქავთარაძემ.

ირაკლი ხოშტარია, დინამოს მთავარი მწვრთნელი:

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენ წინა წლის ჩემპიონები ვართ, მიზანი იყო აუცილებლად ფინალში თამაში, გამომდინარე აქედან, რეზულტატი დამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება მგზავრებს, ვუსურვებ წარმატებას, ძალიან გაგვიჭირდა მათთან ყველა თამაში. ხვალ გადამწყვეტი თამაშია, დაველოდებით და მოვემზადებით, ჩვენ ერთი დღით მეტი გვექნება, ვიდრე ფინალში მონაწილე მეორე გუნდს. ასე რომ, ჯერ ყველაფერი წინ არის.

შედეგები

19 მაისი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩი

ირანი-უზბეკეთი 1:0

ინგლისი. ასოციაციის თასი

ფინალი

ჩელსი-მანჩესტერი 1:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სელტა-ლევანტე 4:2
ლეგანესი-ბეტისი 3:2
ლას პალმასი-ხირონა 1:2
მალაგა-ხეტაფე 0:1
სევილია-ალავესი 1:0
ვილიარეალი-რეალი 2:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	37	27	9	1	98-29	90
2.ატლეტიკო	37	23	9	5	56-20	78
3.რეალი	38	22	10	6	94-44	76
4.ვალენსია	37	21	7	9	63-37	70
5.ვილიარეალი	38	18	7	13	57-50	61
6.ბეტისი	38	18	6	14	60-61	60
7.სევილია	38	17	7	14	49-58	58
8.ხეტაფე	38	15	10	13	42-33	55
9.ხირონა	38	14	9	15	50-59	51
10.ეიბარი	37	14	8	15	42-48	50
11.სოსიედადი	37	14	7	16	66-58	49
12.სელტა	38	13	10	15	59-60	49
13.ალავესი	38	15	2	21	40-50	47
14.ესპანიოლი	37	11	13	13	35-42	46
15.ლევანტე	38	11	13	14	44-58	46
16.ბილბაო	37	10	13	14	41-48	43
17.ლეგანესი	38	12	7	19	34-51	43
18.დეპორტივო	37	6	11	20	37-74	29
19.ლას პალმასი	38	5	7	26	24-74	22
20.მალაგა	38	5	5	28	24-61	20

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

რეალი-სევილია ბ 2:1
ხიმნასტიკი-ლეონესა 5:3
გრანადა-რეუსი 1:0
ლორკა-ვალიადოლიდი 1:5

გერმანია. თასი

ფინალი

ბაიერნი-აინტრახტი 1:3

იტალია. სერია ა

იუვენტუსი-ვერონა 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	38	30	5	3	86-24	95
2.ნაპოლი	37	27	7	3	75-28	88
3.რომა	37	22	8	7	60-28	74
4.ლაციო	37	21	9	7	87-46	72
5.ინტერი	37	19	12	6	63-28	69
6.მილანი	37	17	10	10	51-41	61
7.ატალანტა	37	16	12	9	57-38	60
8.ფიორენტინა	37	16	9	12	53-41	57
9.სამპდორია	37	16	6	15	55-57	54
10.ტორინო	37	12	15	10	52-45	51
11.სასუოლო	37	11	10	16	29-58	43
12.ჯენოა	37	11	8	18	32-41	41
13.ბოლონია	37	11	6	20	40-51	39
14.კიევო	37	9	10	18	35-59	37
15.უდინეზე	37	11	4	22	47-63	37
16.კალიარი	37	10	6	21	32-61	36
17.სპალი	37	7	14	16	36-58	35
18.კროტონე	37	9	8	20	39-64	35
19.ვერონა	38	7	4	27	30-78	25
20.ბენევენტო	37	6	3	28	33-83	21

საფრანგეთი. 1 ლიგა

დიჟონი-ანჟე 2:1
კაენი-პსჟ 0:0
ლიონი-ნიცა 3:2
მარსელი-ამიენი 2:1
მეცი-ბორდო 0:4
ნანტი-სტრასბური 1:0
რენი-მონპელიე 1:1
სტ.ეტიენი-ლილი 5:0
ტრუა-მონაკო 0:3
ტულუზა-გენგამი 2:1

საბოლოო ცხრილი:

1.პსჟ	38	29	6	3	108-29	93
2.მონაკო	38	24	8	6	85-45	80
3.ლიონი	38	23	9	6	87-43	78
4.მარსელი	38	22	11	5	80-47	77
5.რენი	38	16	10	12	50-44	58
6.ბორდო	38	16	7	15	53-48	55
7.სტ.ეტიენი	38	15	10	13	47-50	55
8.ნიცა	38	15	9	14	53-52	54
9.ნანტი	38	14	10	14	36-41	52
10.მონპელიე	38	11	18	9	36-33	51
11.დიჟონი	38	13	9	16	55-73	48
12.გენგამი	38	12	11	15	48-59	47
13.ამიენი	38	12	9	17	37-42	45
14.ანჟე	38	9	14	15	42-52	41
15.სტრასბური	38	9	11	18	44-67	38
16.კაენი	38	10	8	20	27-52	38
17.ლილი	38	10	8	20	41-67	38
18.ტულუზა	38	9	10	19	38-54	37
19.ტრუა	38	9	6	23	32-59	33
20.მეცი	38	6	8	24	34-76	26

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

უტრეხტი-ვიტესი 1:2

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-ლუცერნი 2:2
გრასჰოპერსი-იანგ ბოიზი 1:2
ლუგანო-ციურიხი 1:1
სტ.გალენი-ლოზანა 0:3
თუნი-სიონი 1:4

შოტლანდია. თასი

ფინალი

სელტიკი-მოზერველი 2:0

ბელგია. ა დივიზიონი

ბეერსხოტი-ეუპენი 3:1
ოსტენდე-ანტვერპენი 3:1
სტ.ტრუიდენი-ლოკერენი 1:1

თურქეთი. სუპერლიგა

ბეშიქთაში-სივასი 5:1
გიოზთეფე-გალათასარაი 0:1
ბაშაქშეჰირი-ქაშიმფაშა 3:2
ფენერბახჩე-ქონია 3:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

პლზენი-ტეპლიცე 2:1
ბრნო-იიჰლავა 0:0
კარვინა-ბანიკი 0:0
ბოლესლავი-დუკლა 1:0
სლავია-იაბლონეცი 1:3
ლიბერეცი-ბოჰემიანსი 1905 ..... 1:0
სლოვაცკო-ზლინი 1:1
სპარტა-სიგმა 1:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა

არკა-სლასკი 0:1
კრაკოვია-პოგონი 1:4
ლეხია-სანდეცია 1:1
პიასტი-ნეცეჩა 4:0

უკრაინა. პრემიერლიგა

დინამო-შახტარი 2:1
ოლექსანდრია-ოლიმპიკი 2:0
კარპატი-სტალი 3:0
ჩერნომორეცი-ზვეზდა 1:0

დანია. სუპერლიგა

ორხუსი-სონდერიისკე 2:2

შვედეთი. ალსვენსკა

სირიუსი-ტრელებორგი 1:1
სუნდსვალდი-ესტერსუნდი 2:3
ნორჩიოპინგი-დალკურდი 4:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შენგელიამ ნახევარფინალის გზა გაიიოლა, დიქსონმა – ფინალის

თორნიკე შენგელიას ბასკონიამ ესპანეთის უმაღლეს ლიგაში რეგულარული ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის მატჩი მოიგო და მეორე ადგილი გაინაღდა. ბოლო ტურში ბასკონიელები რომც დამარცხდნენ და მდევარმა ბარსელონამ მოიგოს, შენგელიას გუნდი ურთიერთშეხვედრების ხარჯზე კატალონიელებს უკან მოიტოვებს.

მეორე ადგილი ბასკონიელებს საიმისოდ სჭირდებათ, რომ პლეი ოფის მეორე წრეში (თუ პირველს გადალახავს), მესამეადგილოსანთან მოედნის უპირატესობა ჰქონდეს. ერთი სიტყვით, ბასკონიამ ბარსელონასთან პოტენციურ ნახევარფინალურ სერიაში მოედნის უპირატესობა მოიპოვა.

ბასკურმა კლუბმა ვიტორიაში სან პაბლოს ბურგოსს უმასპინძლა და 20 ქულით – 102:82 სძლია. შენგელია სათადარიგო იყო და 21 წუთში 16 ქულა, 1 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება მიითვალა. თორნიკემ 9-დან 5 ორქულიანი და 6-ვე საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა.

ბასკონია რეგულარული სეზონის დასკვნით შეხვედრაში ობრადოიროს ესტუმრება.

19 მოგებითა და 14 მარცხით მე-6 ადგილი შეინარჩუნა შერმადინის უნიკახამ, რომელმაც გიორგის ყოფილ და ბექა ბურჯანაძის ამჟამინდელ მორაბანკ ანდორას 87:86 სძლია.

მოგეხსენებათ, ბურჯანაძე დიდი ხანია ტრავმირებულია და განაცხადში არც ამჯერად ყოფილა, შერმადინმა კი მოედანზე 9 წუთი გაატარა და აქტივში მხოლოდ 1 პასი ჰქონდა.

მალაგელებს პლეი ოფში თამაში განაღდებული აქვთ, ბოლო მატჩს კი ბადალონაში, ხუვენტუტთან გამართავენ.

მაიკლ დიქსონი თურქეთის მეორე ლიგის ფინალს მიუახლოვდა. ქართული პასპორტის მქონე ამერიკელი კალათბურთელის გუნდმა ბაჰჩეშეჰირმა ნახევარფინალური სერიის მე-3 მატჩი ბურსასფორს 87:73 მოუგო, 2:1 დაწინაურდა და ფინალამდე 1 ნაბიჯი აკლია.

დიქსონმა მოედანზე 35 წუთი გაატარა და 7-დან 2 ორქულიანი, 8-დან 1 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო. მოპოვებულ 9 ქულას 3 მოხსნა და 4 პასი წაამატა.

ბაჰჩეშეჰირი ბურსელებს კიდევ ერთხელ დაუხვდება და, თუკი ამჯერადაც იმარჯვა, ფინალის საგზურს მოიპოვებს.

ამერიკელს დაბადების დღეებმა ლატარიაში გაამარჯვებინა

ამერიკის მერილენდის შტატის მცხოვრებმა, რომელსაც საბუთებში შეცდომის წყალობით ორი დაბადების დღე უწერია, ორივე თარიღი ლატარიის ბილეთში შეიტანა და ჯეკპოტი მოხსნა.

მამაკაცმა აღნიშნა, რომ ის 21 აპრილს დაიბადა, ხოლო შტატის ხელისუფლებამ შეცდომით დაბადების დღედ 23 რიცხვი მიუთითა. 79 წლის ამერიკელმა მხოლოდ ახლახან შეძლო ყველა საკუთარ საბუთში შეცდომის გასწორება. ამის მიუხედავად, ის ორივე თარიღს ბედნიერად მიიჩნევს და სწორედ ამიტომაც შეიტანა ისინი ლატარიის ბილეთში.

– ავიღე გაზეთი, მაშინვე ვნახე ლატარიის გათამაშების შედეგების განყოფილება და კინაღამ თვალები გადმომცვივდა, – განაცხადა იღბლიანმა მამაკაცმა.

როგორც კი მან გაიგო, რომ 1,9 მილიონი დოლარი მოიგო, მაშინვე ცოლს დაურეკა, რომელსაც თავდაპირველად ეგონა, რომ ქმარი ეხუმრებოდა.

წყვილი ფიქრობს, თუ როგორ გამოიყენებს მოგებულ თანხას, რომლის ნაწილსაც ვალების გასტუმრებას მოახმარენ და ეკლესიასაც შესწირავენ.

ბავშვმა ზვიგენის კბენას გაუძლო და არ ატირებულა

ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატის ქალაქ ჰილტონ-ჰედ-აილენდის მცხოვრები ბავშვი, რომელიც ოკეანეში საცურაოდ იყო წასული, კინაღამ ზვიგენის ნადავლი გახდა.

ბიჭის დედამ ტონია ტარელმა განაცხადა, რომ მისი 10 წლის შვილი, ჯეი, წყალში მკერდამდე იყო შესული და იქ თავის ძმასთან ერთად თამაშობდა, როდესაც მოულოდნელად მარჯვენა ხელზე ზვიგენმა უკბინა. ბავშვმა დაიყვირა: „ზვიგენი!“ და მის ირგვლივ სისხლის ლაქა წარმოიქმნა.

– ის ნამდვილი ჯარისკაცია, ისეთი მამაცია, – განაცხადა ბავშვის დედამ და იქვე აღნიშნა, რომ მისი შვილი არც კი ატირებულა.

მან შვილს თავად გადაუხვია ხელი პირსახოცით და დახმარებისთვის მაშველებს მიმართა. ბიჭი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ოპერაცია გაუკეთდა. ტარელმა აღნიშნა, რომ ის ნორმალურად არის, თუმცა უახლოეს დროში ოკეანეში ვეღარ იცურავებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ამბიციური მანჩინი

იტალიის ნაკრებს რომ რობერტო მანჩინი გაწვრთნის, უკვე ცნობილი ამბავია. ცნობილია ისიც, რომ „სკუადრა აძურა“ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოხვდა. სწორედ ამის ფონზე გვეჩვენება ახალი მთავარი მწვრთნელის განცხადება ამბიციური. 53 წლის სპეციალისტის მიზანი ევრო 2020-ისა და მუნდიალი 2022-ის მოგებაა.

რობერტო მანჩინი იტალიის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე მოვალეობის შესრულებას შეუდგა, ამხანაგური მატჩებისთვის შემადგენლობაც გამოაცხადა და მომავალ მიზნებზე ისაუბრა.

რობერტო მანჩინი:

– ძალიან ამაყი ვარ ამ თანამდებობაზე დანიშვნის გამო. მიმაჩნია, რომ ეროვნული გუნდის სათავეში ჩადგომა ეს მაქსიმუმია სამწვრთნელო კარიერაში და ეს ძალიან მახარებს. სამწუხაროდ, ფეხბურთს თან ახლავს რთული და ნეგატიური მომენტები და ამიტომ, უნდა ვიპოვოთ გზა, რათა დავაბრუნოთ ნაკრები იმ დონეზე, რომელიც ეკადრება. იტალია ყოველთვის იყო მსოფლიოს მოწინავე ეროვნულ ნაკრებებს შორის და გვჯერა, დავბრუნდებით მათ შორის. ჩვენი მიზნები ისეთივე იქნება, როგორიც იტალიის ნაკრებს ყოველთვის ჰქონდა. გუნდი სწრაფად უნდა დავაყენოთ ფეხზე და მოვიგოთ ჯერ ევროპის ჩემპიონატი, შემდეგ კი – მსოფლიოს ჩემპიონატი. სხვა მიზნები არ გვაქვს.

რეალი ალაბათი დაინტერესდა

მიუნხენის ბაიერნის ავსტრიელი მცველის დავიდ ალაბას მამა, ჯორჯ ალაბა, რომელიც, ამავე დროს, ფეხბურთელის აგენტად გვევლინება, მადრიდის რეალის ინტერესის შესახებ საუბრობს.

ჯორჯ ალაბა:

– ყველამ იცის, რომ რეალი მეტად დაინტერესებულია დავიდით, მაგრამ ახლა ჩვენ არაფრის კომენტირება არ შეგვიძლია. ვნახოთ, როგორ აეწყობა საქმეები ზაფხულში. ახლა დრო არაა იმის განხილვის, თუ ვინ ინტერესდება. ყველა საქმის კურსშია რეალის ინტერესის შესახებ, ეს საიდუმლო არ არის. მაგრამ ახლა სალაპარაკო არაფერია. უნდა დავიცადოთ, მერე კი შევხედავთ.

დავიდ ოლატოკუნბო ალაბა ბაიერნის აღზრდილია და რეკორდმაისტერში 2008 წლიდან იმყოფება. ახალგაზრდულ წლებში იგი სხვადასხვა პოზიციებზე ასპარეზობდა, ნახევარდაცვაში და თავდასხმაშიც კი, თუმცა ბაიერნში მარცხენა მცველის პოზიციაზე ათამაშებდნენ. ალაბა 2011-14 წლებში ზედიზედ ოთხჯერ დასახელდა ავსტრიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ტურისტი კინაღამ ლეოპარდის ცნობისმოყვარეობას ემსხვერპლა

ბოტსვანის ნაკრძალის დამთვალიერებელი უნებურად ლეოპარდის სათამაშოდ იქცა და კინაღამ ცხოველის თავდასხმის მსხვერპლი გახდა.

აღნიშნული შემთხვევა, რომელიც ვიდეოზე იქნა გადაღებული, დელტა ოკავანგოს ეროვნულ პარკში მოხდა, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. ვიდეოზე ჩანს, რომ მტაცებელი ინტერესით ათვალიერებს ტურისტის ფეხსაცმელს, რომელიც ღია საფარი-ჯიპში ზის. ცხოველი მას ათვალიერებს და სუნავს, კლანჭებით ფხაჭნის და ცდილობს, უკბინოს. ამის შემდეგ მძღოლმა მანქანა დაქოქა და მოულოდნელი ხმით შეშინებული ლეოპარდი გაიქცა.

მამაკაცის მტკიცებით, ის მტაცებლის ქმედებას არ შეუშინებია, ვინაიდან გიდმა აუხსნა, რომ ცხოველი დანაყრებული იყო. გაჩერების ადგილიდან რამდენიმე მეტრში მათ დაგლეჯილი იმპალა შენიშნეს.

– გიდმა მირჩია, არ გავნძრეულიყავი და არც გავნძრეულვარ. არ შემშინებია, ლეოპარდი კი დიდი შინაური კატასავით იქცეოდა, – განაცხადა ტურისტმა.

ავსტრალიელის მკერდი იაფმა პლასტიკურმა ოპერაციამ დაამახინჯა

ავსტრალიის ვიქტორიის შტატის ქალაქ მელბურნის მცხოვრები ქალბატონი ამტკიცებს, რომ მისთვის ტაილანდში იაფად გაკეთებული პლასტიკური ოპერაციის შემდეგ მისი მკერდი საბოლოოდ უვარგისი გახდა.

48 წლის ლი კემერონი ტაილანდში იმისთვის ჩავიდა, რომ მკერდში ჩადგმული სილიკონის იმპლატანტები ამოეღოთ და აემაღლებინათ. შვიდი ათას ავსტრალიურ დოლარად მას დაჰპირდნენ, რომ ოპერაციას მსოფლიო დონის ქირურგი გაუკეთებდა და იქ ყოფნის განმავლობაში უზრუნველად იცხოვრებდა. ავსტრალიაში ანალოგიური პროცედურები მას მინიმუმ 27 ათასი ავსტრალიური დოლარი დაუჯდებოდა.

როდესაც სახვევები მოხსნეს, ქალმა საკუთარ მკერდზე ათი სანტიმეტრის სიგრძის ღია ჭრილობები დაინახა. გარდა ამისა, მკერდის თავები იმაზე გაცილებით მაღლა იყო განთავსებული, ვიდრე უნდა ყოფილიყო. ქირურგმა ეს პაციენტის ასაკს მიაწერა და განუცხადა, რომ დროთა განმავლობაში ისინი დაბლა დაიწევდა. ოპერაციის შემდგომმა დაწყებულმა ინფექციამ კემერონი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ სასწრაფოდ სახლში უნდა დაბრუნებულიყო.

პლასტიკური ქირურგი ოლივია პეროტი, რომელიც ქალს ავსტრალიაში მკურნალობდა, ამტკიცებს, რომ ბევრჯერ ჰქონია საქმე მსგავს და კიდევ უფრო რთულ შემთხვევებთანაც.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი 21 მაისისათვის

ვერძი – წინააღმდეგობრივი, ცვალებადი დღეა. სიხარულს იმედგაცრუება მოსდევს და პირიქით. მოვლენების დაჩქარებას ნუ შეეცდებით. ** კურო** – ფინანსური მდგომარეობა უცვლელია. შესაძლოა მცირედი შემოსავალი მიიღოთ. **ტყუპები** – ახალი იდეების რეალიზება კმაყოფილებას მოგგვრით. ოქროს შუალედი დაიცავით. **კირჩხიბი** – რეალობასა და სასურველს ერთმანეთში ნუ აურევთ. დღის დევიზია ზომიერება. **ლომი** – მოვლენები თქვენი სურვილების საწინააღმდეგოდ ვითარდება. პრობლემები გელით ახლო ნათესავებთან კონტაქტისას. **ქალწული** – სინდისთან კომპრომისი კატეგორიულად დაუშვებელია. გულისხმას მოუსმინეთ. **სასწორი** – საკუთარი შთაბეჭდილებები ვინმეს გაუზიარეთ. თავს უკეთესად იგრძნობთ. სწორ გზას ადგახართ. **ღრიანკალი** – პროფესიონალური ზრდისთვის ყველა პირობა გაქვთ. ფინანსებს მაქსიმალურად გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – უკიდურესობაში ნუ გადავარდებით. ნებისმიერ სიტუაციაში ზომიერებაა საჭირო. **თხის რქა** – პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე ვერ გაქვთ, თუმცა აუცილებელი არ არის, მხოლოდ საკუთარ პრობლემებზე იფიქროთ. **მერწყული** – წარმატებას იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს მიიღებთ. ინტუიციას მიენდეთ. **თევზები** – ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება დაგღლით და დაგაბნევთ. პრიორიტეტი უფრო რთულ საქმეებს მიანიჭეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

სიტყვოჰდი



1. ნოტი; 2. ამერიკელთა მეტსახელი ევროპაში; 3. რძის პროდუქტი; 4. პირველი მამაკაცი; 5. სამკითხაო ქვიშა; 6. ხმადაბლა (მუსიკა); 7. წრეწირის ნაწილი; 8. მდინარე შვეიცარიაში; 9. სასროლეთი; 10. ტუჩის საცხი; 11. წილი საერთო საქმეში; 12. ლოურენს ...; 13. რისამე სტანდარტი; 14. ვირის გასარეკი შეძახილი; 15. „... მარია“; 16. მოჩუქურთმებული ქვა ან ნიჟარა; 17. მარადმწვანე მცენარე; 18. ცოცხლადმშობი შხამიანი ბუზი; 19. ნუსხა; 20. ავსტრიის დედაქალაქი; 21. ქიმიური ელემენტი; 22. ძაბვის მარეგულირებელი ხელსაწყო; 23. მაწვნის მსგავსი პროდუქტი; 24. კამილ ...; 25. სალვადორის ფულის ერთეული; 26. ... ნოლტი; 27. მუსიკალური წყობა; 28. ქალაქი სირიაში; 29. ნული ქულა; 30. სატელეფონო სიტყვა; 31. რუსული ავტომარკა; 32. „ჩვენი ...; 33. 3.14; 34. იაპონური სამოსელი; 35. მდინარე სამხრეთ ამერიკაში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჰდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. „კაბერნე“; 2. ტალეირანი; 3. სინდრომი; 4. სკუტერი; 5. სოკარი; 9. ტროიდი; 11. დიადემა; 12. ვეტელი; 14. „დათვები“; 18. ოდიში; 19. გუამი.

თარაზულად: 4. სირაჯი; 5. სელადონი; 6. ლიფტი; 7. სუარესი; 8. „ბერეტა“; 10. მდადი; 13. ნადური; 15. „რუზინე“; 16. მუდო; 20. ვირუსი; 21. სიგალი; 22. მუშამბა; 23. მარულა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჩოდარი; 2. აკრი; 3. „ბაღდადური“; 4. „ჩანგი“; 5. ჭინჭარი; 8. ჭანები; 9. ხაბიზგინა; 12. ჩაროზი; 14. ხერესი; 16. აპოლო.

თარაზულად: 1. ჩოხატაური; 6. რამაზანი; 7. დროზერა; 9. ხენდრო; 10. ლირა; 11. „ვედრება“; 13. შახტი; 15. „მარიცა“; 17. ხილნარი; 18. „პოპოლო“; 19. კრისტი; 20. რომანსი.

მუსიკოსი ლია ხუგაშვილი გარდაიცვალა

მუსიკოსი და პიანისტი ლია ხუგაშვილი გარდაიცვალა. მან მთელი თავისი ცხოვრება მუსიკას მიუძღვნა და აკომპანირებას უწევდა ქართული ესტრადის ვარსკვლავებს – ნანი ბრეგვაძეს, გოგი დოლიძეს, ეკა მამალაძეს...

გიორგი უშიკიშვილი, მომღერალი:

– უნიჭიერესი და უტკბილესი ქალბატონი დაგვაკლა, ქალბატონი ლია ხუგაშვილი. ვუსამძიმრებ ოჯახს, მეგობრებსა და ყველას, ვისაც უყვარს ქართული მუსიკა. ძალიან დაგვაკლდება მისი წასვლა.

ლაშა ღლონტი, მომღერალი:

– ძალიან ცუდი ამბავი

გავიგე... გარდაიცვალა საოცარი მუსიკოსი, ჰარმონისტი, შესანიშნავი პიროვნება, ქალბატონი ლია ხუგაშვილი. ყველას გვახსოვს მისი გამორჩეული უთანამედროვესი აკომპანირება განსაკუთრებით გოგი დოლიძისათვის, ნანი ბრეგვაძისათვის, ეკა მამალაძისა და ბევრი ქართველი მომღერლისთვის!

ქალბატონი ლია იყო ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება იყო სუპერთანამედროვე და, იმავდროულად, დარჩე ეროვნული ტრადიციების ჩარჩოებში! უფალმა გაანათლოს მის სპეტაკი სული.

ნეკა სებისკვერაძე, მომღერალი:

– ქალბატონი ლია ხუგაშვილი... მუსიკოსი, რომლის მსგავსად არავინ აზროვნებდა, მისი ჰარმონია სხვისას არასდროს ჰგავდა, მისი ბგერა სულ სხვანაირად ჟღერდა... ძალიან დააკლდება მუსიკალურ სამყაროს... ისეთი გულით იცოდა ნამღერის შეფასება, დიდ ძალასა და სტიმულს გაძლევდა, საოცრად უყვარდა ახალგაზრდები.

ბოლო შეხვედრისას ქალბატონი მარიკა კვალიაშვილის რომანსი შევასრულეთ ერთად. არასდროს დამავიწყდება, როგორი სიფრთხილით ეკიდებოდა თითოეულ ბგერას... ქალბატონო ლია, ჩემი დიდი სიყვარული და უდიდესი პატივისცემა თქვენს პიროვნებასა და თქვენს შემოქმედებას.

დავით არჩვაძე, მომღერალი, კომპოზიტორი:

– დაგეგმილი გვქონდა თანამშრომლობა და ვერ დამცალდა, სამწუხაროდ... იმის გარდა, რომ ერთ-ერთი სასწაული პიანისტი იყო ქართული რომანსისა და საესტრადო მუსიკის, ასევე იყო ცოცხალი მემატიანე და სასწაულ მასალას ფლობდა, „ბაგაჟს“ რომ ვეძახით და როგორ გული მწყდება, რომ ვერ მოესწრო ბევრი რამის განხორციელება. ღმერთმა აცხონოს მისი ლამაზი სული. უსპეტაკესი და უინტელიგენტესი ადამიანი იყო.

გიორგი სუხიტაშვილი, მომღერალი:

– რამდენიმე წლის წინ მოვიდა ჩემთან ახლოს და მითხრა, ძალიან მომწონს შენი ნამღერიო. ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა, მიუხედავად ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი ზღვარისა, ძალიან კარგად ვუგებდით ერთმანეთს. მოსწონდა, რომ არ ვაგვიანებდი არასოდეს რეპეტიციაზე. მირეკავდა, ხშირად უსმენდა დილით ჩემს ეთერს და, თუ კარგი ეთერი იქნებოდა, აუცილებლად მირეკავდა ხოლმე. რეპეტიციაზე რომ მივდიოდი, სულ მეკითხებოდა, რამე ხომ არ მაკლდა ან ხომ არ მჭირდებოდა, ლიფტის ფულსაც კი მთავაზობდა სულ. ახლა მოვამზადე კერძი, თუ გშია, არ მოგერიდოსო....

ასეთი სიმსუბუქე, ასეთი აზროვნება, ასეთი ინტელექტი, ასეთი მიდგომა, ასეთი გრძნობა მუსიკის, მომღერლის, კომპოზიციის დრამატურგიის, განვითარების, არაორდინარული გადაწყვეტის... არ უყვარდა ბანალურად დაკვრა, სულ მეკითხებოდა, აქ ასე ხომ არ ჯობიაო და ალტერნატივასაც მთავაზობდა.

არ ვიცი, რა უნდა ვთქვა, ძალიან, ძალიან მწყდება გული; ბოლოს დამირეკა, სიმღერა გვქონდა ჩასაწერი. შეუძლოდ რომ გახდა, ვერ ვრეპეტიციობდით, ძალიან ცუდად ვარო, ძალიან დავსუსტდიო, წონაში ისე დავიკელი, აღარც მიკეთებენ ექიმები არაფერს, ვიდრე არ მოვღონიერდები ცოტასო. როგორ ველოდებოდი, რომ დამირეკავდა ჩემი ლია დეიდა და მეტყოდა, უკვე კარგად ვარ და დავიწყოთ მეცადინეობაო...

მომენატრები, დეიდა ლია. დამაკლდება საოცრად გაწონასწორებული, სამართლიანი, მოწესრიგებული, კოპწია, საყვარელი და უნაკლო ქალბატონი.

დიდი მადლობა, დეიდა ლია, ყველაფრისთვის... დიდი სიყვარულით შევინახავ იმ ყველა წიგნს, ნოტს, ჩანაწერებსა და ნივთებს, რომლებიც მაჩუქეთ...

პ.ს. ლია ხუგაშვილს სამშაბათს დაკრძალავენ.

მარიშკა ჯავახაძე „ჩემი ცოლის დაქალებში“ აღარ მონაწილეობს

მსახიობი მარიშკა ჯავახაძე, რომელიც სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ ბარბარიკას როლს ასრულებდა, აღარ მონაწილეობს:

– ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ფორმულა კრეატივს იმ საოცარი გამოცდილებისთვის, რომელიც ამ წლების განმავლობაში შემძინა. უღრმესი მადლობა, რომ მომეცით საშუალება, ჩემი პატარა წვლილი შემეტანა ამ მართლა ისტორიულ პროექტში.

უღრმესი მადლობა მსახიობებსა და განსაკუთრებით გიორგი მახარაძეს. რომ არა ის, გადაღების პირველი დღეები ძალიან რთული იქნებოდა.

გულით ყველაზე დიდი მადლობა მაყურებელს და ჩვენს გულშემატკივრებს.

ახალი ბარბარიკა კიდევ უფრო პრინცესული და მშვენიერია.

გოგა გიორგელაშვილი: „ფინალზე არ ვფიქრობ. მთავარია, ქართველ მსმენელს ჩემი ნამღერი მოეწონოს“

მუსიკალური შოუს „მხოლოდ ქართულის“ 21 წლის მონაწილე, გოგა გიორგელაშვილი, ქართული სიმღერების მოყვარულია. მისთვის ეს პროექტში ერთგვარი გამოცდილებაა და ყველანაირი სირთულისა თუ სიახლისთვის მზად არის:

– ბევრი ქართული სიმღერაა, რომელსაც ვუსმენ და ძალიან მომწონს, მაგრამ შემიძლია გამოვარჩიო „რაც ამქვეყნად სიყვარული მეფობს“ და „ქარი ქრის“. ეს ორი სიმღერა ჩემს ხასიათში ჯდება და სიამოვნებით შევასრულებდი.

– დიდი ხანია მღერით?

– სიმღერა ბავშვობიდან მიყვარს, მაგრამ არასდროს მიფიქრია, რომ ერთ

დღეს გავიღვიძებდი და ჩემს თავს ასეთ პროექტში დავინახავდი. სირთულეები მიყვარს და მეტ მოტივაციას მაძლევს, შესარჩევი ტურიდან 3 დღით ადრე გადავწყვიტე, რომ პროექტ „მხოლოდ ქართულში“ მიმეღო მონაწილეობა, მაგრამ ქართული სიმღერა იმღერო ქართველი მსმენელისთვის ისე, რომ მათ მოეწონოთ, ძალიან რთულია და გადაწყვეტილების მიღებაშიც დახმარება დამჭირდა, სიმღერები შევარჩიე, მაგრამ კონკურსზე განსხვავებული განწყობა მქონდა, ამიტომ, იქ რაც მომინდა, ის ვიმღერე. ვიცი, რომ მსმენელი ძალიან მკაცრი იქნება, მაგრამ, იმედი მაქვს, მოლოდინს გავამართლებ.

– როგორი წარმოგიდგენიათ ფინალი?

– ფინალზე არ ვფიქრობ, მთავარია, ქართველ მსმენელს მოეწონოს ჩემი ნამღერი და მეც კმაყოფილი ვიყო. ვიცი, რომ ჩემი ცხოვრება შეიცვლება, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ხანდახან მავიწყდება, რომ კონკურსში ვარ, გარემო ძალიან თბილია და, რაც მთავარია, ყველა კონკურსანტი ერთმანეთს ვამხნევებთ და ვეხმარებით.

– რით გამოირჩევით კონკურსანტებისგან?

– იმედი მაქვს, მსმენელი თავად მეტყვის, რით ვარ გამორჩეული, არ მიყვარს ჩემს თავზე ლაპარაკი.

– სიმღერის გარდა, რა არის თქვენი საყვარელი საქმიანობა?

– მიყვარს სპორტული ცხოვრება, ვარჯიში და ფეხბურთი, ასევე, როდესაც გიტარაზე ახალ მელოდიებს ვაწყობ. აქამდე კომპიუტერულ თამაშებთანაც ხშირი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ ახლა დრო აღარაფრისთვის მრჩება, სიმღერის გარდა.

საქართველოს საბავშვო ევროვიზიაზე თამარ ედილაშვილი წარადგენს

საბავშვო ევროვიზია 2018-ზე საქართველოს მომღერალი თამარ ედილაშვილი წარადგენს. ის ფართო საზოგადოებამ „იქს ფაქტორიდან“ გაიცნო, სადაც გრიგოლ ყიფშიძესთან ერთად თავისი ნიჭიერებითა და მუსიკალური შესაძლებლობებით მსმენელს თავი შეაყვარა და სამუდამოდ დაამახსოვრა.

საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებული მუსიკალურმა პროექტმა „რანინამ“ გამოავლინა. 10 კონკურსანტს: თამარ ედილაშვილს, ნიკოლოზ ვასაძეს, ნიტა ჯახუას, მარიაელენე ბეჟაშვილს, ანასტასია ტოგონიძეს, გიორგი ცისკაძეს, ნიკოლოზ გოგიჩაიშვილს, მარიამ საგინაშვილს, დავით ქიმერიძესა და ალექსანდრე ზაზარაშვილს 12 შოუსა და 12 ურთულესი გამოცდის ჩაბარება მოუწია.

3-თვიან მარათონში „რანინას“ მონაწილეებმა იმღერეს როგორც ორკესტრთან, ასევე ბენდებთან, ა კაპელაში და მეგავარსკვლავებთან ერთად. პატარა კონკურსანტებისთვის მთელი გადაცემის განმავლობაში დავით მაზანაშვილის ბენდმა დაუკრა.

კონკურსანტების უმრავლესობას უკვე აქვს მონაწილეობა მიღებული სხვადასხვა შოუში, მათ შორის „ნიჭიერსა“ და „იქს ფაქტორში“.

10 კონკურსანტიდან ფინალისტები გახდნენ თამარ ედილაშვილი, ანასტასია ტოგონიძე და ნიკოლოზ ვასაძე.

ფინალური შოუს დასრულების შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ გამარჯვებულ თამარ ედილაშვილთან ერთად ბელორუსში ანასტასია და ნიკოლოზიც გაემგზავრებიან, სადაც ნოემბერში საბავშვო ევროვიზია 2018 გაიმართება.

ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მევიოლინე ვატო მაღრაძეს დახმარება ესაჭიროება

საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მევიოლინეს, 26 წლის ვატო მაღრაძეს, დახმარება ესაჭიროება.

მუსიკოსს დაუდგინდა მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია. მის გამოსაჯანმრთელებლად აუცილებელია მუსიკოსის საზღვარგარეთ მკურნალობა, რაც დიდ თანხებს საჭიროებს.

ვატოს მეგობრები უკვე აგროვებენ თანხას, თუმცა საზოგადოების დახმარების გარეშე, თანხის შეგროვებას ვერ შეძლებენ, ამიტომ თიბისი ბანკში ვატოსთვის სპეციალური ანგარიში გახსნეს.

დაღესტნელმა ტურისტებმა დავით გარეჯის ფრესკები დააზიანეს

დავით გარეჯის X საუკუნის უნიკალური ფრესკები დაღესტნელმა ტურისტებმა დააზიანეს. ფოტოები და ინფორმაცია სოციალურ ქსელში ლადო მირიანაშვილმა და ზვიად ანანიაშვილმა გაავრცელეს.

ზვიად ანანიაშვილი:

– ვანდალი ტურისტები კვლავაც უმოწყალოდ ანადგურებენ გარეჯის ფრესკებს! ამჯერად დაღესტნელებმა „ივაუკაცეს“, გუშინ შუადღის შემდეგ – გარეჯა. მე-10 საუკუნის ფრესკა.

ლადო მირიანაშვილი:

– ნეტავ, რატომ დადის ამქვეყნად ამდენი უტვინო, ტვინნაღრძობი და ბოროტი ადამიანი. გარეჯის უდაბნოს მონასტრის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე, ქტიტორების გამოსახულებებზე, რომელიც XI საუკუნის დასაწყისით თარიღდება, ახალი ვანდალური წარწერა გაჩნდა, დაღესტნის ხსენებით. კიდევ კარგი, რომ წმინდა დავით გარეჯელის მიერ სასწაულების აღვლენის ამსახველი ფრესკები მეორე რეგისტრში, მიუწვდომელ სიმაღლეზე მდებარეობს, თორემ, შესაძლოა, გაცილებით უფრო მძიმე შედეგი დამდგარიყო.

ამ მონასტერს ყველაზე მეტი ტურისტი სტუმრობს, რომელთაც თვითშეგნებისა და შინაგანი კულტურის სხვადასხვა დონე აქვთ, ამიტომ აქ მეთვალყურეების დაყენება სავალდებულოა. სახელმწიფომ მეთვალყურეების შრომის ანაზღაურებისთვის საჭირო თანხები ბიუჯეტიდან უნდა გამოყოს, რადგან ეს ტერიტორია დღემდე სადავოა და შესასვლელი ბილეთების გაყიდვა არ მოხერხდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

შალვა დოლბაიას ხსოვნას!

სამი წელია, რაც სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლეთ საყვარელ მეუღლესთან – თინა ნათლიასთან, კეთილშობილო, ჰუმანურო, გულისხმიერო შალვა ნათლია!

ძალიან ენატრებით და აკლიხართ თქვენი საამაყო ვაჟიშვილის, ალეკოს, ოჯახს, თქვენს ბაბულიკებს: თათულისა და გვანცულის!

დღესაც ჩვენ გვერდით ხართ თქვენი განუმეორებელი იუმორით!

ნათელში გამყოფოთ ღმერთმა, თინა და შალვა ნათლიებო!

ნათლული კუსუნა მზარელუა

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯალეიდოსკოპი

ოჯახის მიერ ეზოში ნაპოვნ სეიფში ათასობით დოლარი აღმოჩნდა

ნიუ იორკის მცხოვრებმა მეთიუ ემანუელმა და მისმა მეუღლე მარია კოლონა-ემანუელმა მათი სახლის ეზოში ჩაფლული სეიფი იპოვეს, რომელშიც ათიათასობით დოლარის ღირებულების ძვირფასეულობა და ფული იდო.

სეიფი ამოთხარეს მუშებმა, რომლებსაც სურდათ, ირმების მიერ გაფუჭებული ცოცხალი ღობის დაზიანებული ნაწილები შეეცვალათ. თავდაპირველად მეთიუს ის ელექტრომოწყობილობის ყუთი ეგონა, მაგრამ შემდეგ მასზე კოდირებული საკეტი შენიშნა. მუშები მის გახსნაში დაეხმარნენ.

სეიფი ელშესაკრავიანი პაკეტებით სავსე აღმოჩნდა, რომლებში ფული და საიუველირო ნაკეთობები ეწყო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მასში ეწყო ალმასები, ოქრო და საქორწინო ბეჭდები. ზოგიერთი კუპიურა დასველებული და ერთმანეთზე იყო მიწებებული, რის გამოც გამოუსადეგარი გახდა, თუმცა 16.300 დოლარის გადარჩენა მოხერხდა.

ერთ-ერთ შეკვრაში იდო ნაწერი, რომელშიც ერთ-ერთი ოჯახის მისამართი იყო მითითებული და რომელიც მეზობლად ცხოვრობდა. როგორც გაირკვა, სეიფი მათ დაახლოებით შვიდი წლის წინ მოჰპარეს. პოლიციის შეფასებით, სეიფის შიგთავსის ღირებულებამ 52 ათასი დოლარი შეადგინა. ქურდობა მეთიუსა და მარიას ამ სახლში, რომლის ეზოშიც ბოროტმოქმედმა ნადავლი დამალა, მათ გადასვლამდე სამი წლით ადრე მოხდა.

წყვილმა გადაწყვიტა, ნაპოვნი ფული და ძვირფასეულობა მათი კანონიერი მფლობელისთვის დაებრუნებინათ. მეზობლები, რომლებსაც დიდი ხანია, დაკარგული ქონების დაბრუნების იმედი აღარ ჰქონდათ, გაკვირვებულები და გახარებულები დარჩნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

21 მაისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4423
- ევრო — 2.8773
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2925
- 100 რუსული რუბლი — 3.9332

ამინდის პროგნოზი 21 მაისისთვის

სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

18 მაისიდან ვიქტორ სუვოროვი **აკვარიუმი**

ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

25 მაისიდან

დინა რუბინა

პეტრუშკას სინდრომი

„პეტრუშკას სინდრომი“ დინა რუბინას ყველაზე დრამატული რომანია. მისი ყოველი ახალი რომანი ბესტსელერია და გამოცემისთანავე ათეულობით ენაზე ითარგმნება.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

1 ივნისიდან

ვიქტორ პელევინი

სამი ცუკერბრინის სიყვარული

ფეისბუქი, გუგლი, უკრაინა, მომხმარებლის კულტი, ტოლერანტობა, ტერორიზმი, იმ ტრენდებს შორისაა, რასაც წიგნი ეხება.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

8 ივნისიდან

ევგენი ვოდოლაზკინი **ლავროსი**

სნეულთა განკურნების განსაცვიფრებელი უნარით დაჯილდოებული არსენი სიკვდილისგან ვერ იხსნის საყვარელ ქალს. სწორედ ეს იქცევა მისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

სერია ნამდვილი დეტექტივი

22 მაისიდან ნაიო მარში **კაცი იწვა მკვდარი**

დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას“ თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

29 მაისიდან

ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**



ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

5 ივნისიდან

გილბერტ ჩესტერტონი

მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი

მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

12 ივნისიდან

როს მაკდონალდი შიში



ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

სისხლის დონორი, რომელმაც უამრავი ბავშვი გადაარჩინა, პენსიაზე გავიდა

ავსტრალიელმა დონორმა ჯეიმს ჰარისონმა, რომლის სისხლი ორ მილიონზე მეტ ახალშობილს დაეხმარა გადარჩენაში, ბოლოჯერ გაიღო საკუთარი სისხლი.

ჰარისონის სისხლი უიშვიათეს ანტისხეულებს შეიცავს, რომელიც რეზუს-კონფლიქტის დროს მოქმედებს, რომლის დროსაც ქალის ორგანიზმი, რომლის ნაყოფსაც განსხვავებული რეზუს-ფაქტორი აქვს, გამოიმუშავებს ანტირეზუსულ ანტისხეულებს. წითელი ჯვრის შეფასებით, 1967 წლამდე რეზუს-კონფლიქტის შედეგად ყოველ წელს ათასობით ავსტრალიელი ბავშვი იღუპებოდა.

ჭაბუკობაში ჰარისონმა მძიმე ოპერაცია გადაიტანა. მას სიცოცხლე შეუნარჩუნა მისთვის გადასხმულმა 13 ლიტრმა სისხლმა. ამის შემდეგ მან გადაწყვიტა დონორი გამხდარიყო. 63 წლის განმავლობაში ავსტრალიელი ყოველ ორ კვირაში სისხლს აბარებდა. ქვეყნის ხელისუფლებამ მისი დამსახურება ავსტრალიის ორდენით დააფასა, ხოლო გინესის რეკორდების წიგნმა ის მსოფლიოში ყველაზე აქტიურ დონორად აღიარა.

მაისში მას 81 წელი შეუსრულდა. ეს სისხლის დონორისთვის მაქსიმალური ასაკია, რომელიც ავსტრალიის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. რამდენიმე დღის წინ ჰარისონმა ბოლოჯერ გაიღო სისხლი.

– უამრავი სიცოცხლე გადავარჩინე, ამ ქვეყანას უამრავი ბავშვი მოვუვლინე და ეს ჩემში საუკეთესო შეგრძნებებს იწვევს, – განაცხადა ჰარისონმა და იქვე დაამატა, რომ უფლება რომ ჰქონდეს, კვლავაც გააგრძელებდა სისხლის ჩაბარებას.

„გაციებამ“ მამაკაცს ხელები და ფეხები დააკარგვინა

ესპანეთის მცხოვრებმა დევიდ მორანამ ჟურნალისტებთან ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ დაკარგა ხელები და ფეხები იმის გამო, რომ ექიმმა მისთვის სწორი დიაგნოზის დასმა ვერ შეძლო.

მიმდინარე წლის იანვარში 24 წლის მამაკაცმა ციებ-ცხელება და ყბის მიდამოში ტკივილები იგრძნო. როგორც კი მისი მდგომარეობა გაუარესდა, მან მაშინვე საავადმყოფოს მიმართა და ანალიზებზე სისხლი და შარდი ჩააბარა. ექიმმა ვერაფერი სახიფათო ვერ აღმოაჩინა, მისი ცუდად ყოფნა გაციებად ჩათვალა და სახლში გაუშვა.

მოგვიანებით მორანას პირღებინება დაეწყო, ტემპერატურა 39 გრადუსამდე აეწია, ხოლო სახეზე ყავისფერი ლაქები გაუჩნდა.

– თავს საშინლად ვგრძნობდი, ფეხები საშინლად მტკიოდა, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ფეხები მოყინული იყო. წინდები გავიხადე და შევნიშნე, რომ ყავისფერი ლაქები ფეხებზეც მქონდა, – განაცხადა ესპანელმა.

ის საავადმყოფოში დაბრუნდა და შემოწმების შემდეგ ექიმებმა მას მენინგიტი აღმოუჩინეს. ორი დღის განმავლობაში ინფექცია მთელ სხეულს მოედო და იმისთვის, რომ მისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ, ხელებისა და ფეხების ამპუტაცია გაუკეთეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ქართველი უცხოელ სტუმარს თბილისს ათვალიერებინებს. ქუჩის ერთი მხრიდან მეორე მხარეს უნდა გადავიდნენ. ქართველმა ჯერ მარცხნივ გაიხედა, მერე მარცხნივ. ამ დროს სტუმარი ეკითხება:

– კი მაგრამ, ორივე მხარეს რატომ გაიხედე, აქ ხომ ცალმხრივი მოძრაობაა.

– ეს თბილისია!

●●●

რუსებმა მეფე ზარბაზანს, რომელიც არ ისვრის და მეფე ზარს, რომელიც არ რეკავს, მიუმატეს მეფე სტადიონი, რომელზეც თამაში შეუძლებელია.

●●●

გოგო ბიჭს ურეკავს და ეუბნება:

– ლევან, იცი, შენგან ფეხმძიმედ ვარ.

– კი მაგრამ, რანაირად, ერთად ხომ არ ვწოლილვართ?

– მეც შოკში ვარ!!!

●●●

ქორწილის პირველ ღამეს ახლადშეუღლებულები გოგონას სახლში ატარებენ. ღამის სამ საათზე გოგონას მშობლებს შვილის ყვირილზე „დედა! დედა!“ ეღვიძებათ.

დედას უნდა, რომ ადგეს და გაიგოს, რაშია საქმე, მაგრამ ქმარი ეუბნება:

– დაიძინე, თავად გაერკვევიან.

გარკვეული დროის შემდეგ ისევ ისმის:

– დედა! დედა!

ქალი წამოხტება, მაგრამ უკვე კართან მისულს ქმარი ძალით აჩერებს:

– გითხარი, თავად გაერკვევიან! ჩვენი ამბავი გაიხსენე!

ამ დროს ისევ ისმის ძახილი:

– დედა! დედა!

ქალმა ვეღარ მოითმინა, საძინებელ ოთახში შევარდა და შეშფოთებული შვილს ეკითხება:

– რა იყო, შვილო, რა დაგემართა?

– დედა, რა კარგია...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ციყვი საერთო საცხოვრებლის უნიტაზში გაიჭედა

ლონდონში ციყვი სტუდენტური საერთო საცხოვრებლის ტუალეტში გაიჭედა. სტუდენტებს ცხოველის ამოსაყვანად მაშველების გამოძახება დასჭირდათ.

ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოების ოფიცერმა კირსტი გილარდმა, რომელიც სტუდენტების გამოძახებაზე მივიდა, ივარაუდა, რომ ცხოველმა შენობაში სახურავში არსებული ხვრელიდან შეაღწია და შემდეგ უნიტაზში ჭერში არსებული ხვრელიდან ჩავარდა.

– საბედნიეროდ, ცხოველი არ დაშავებულა და ის უახლოეს პარკში გავუშვი, – განაცხადა გილარდმა, რომელმაც ციყვი გაშვებამდე საგულდაგულოდ გაამშრალა.

მან ასევე აღიარა, რომ ეს შემთხვევა მის კარიერაში ყველას უჩვეულოა. მანამდე მას ნიჟარაში გაჭედილი ღამურის ამოყვანა მოუხდა, მაგრამ, მისივე თქმით, უჩვეულობით მას აშკარად ციყვმა აჯობა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი

თარაზულად: 5. სახელმწიფო ევროპაში; 6. შაბლონი, ტრაფარეტი; 9. არაპირდაპირი გადასახადი ფართო მოხმარების საგნებზე; 10. დიდი ქვეწარმავალი; 11. ოპტიკური მინა; 13. გაზაფხულის თვე; 15. დგამი; 18. იგავ-...; 21. ხტომისათვის ასასხლეტი მოწყობილობა; 22. სახელმწიფოში საქონლის შეზიდვა-გატანის აკრძალვა; 23. სამკელი იარაღი.

შვეულად: 1. თვალსაზრისი; 2. გ.დანელიას ფილმი; 3. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 4. ყველაზე პატარა ზომის საგანი; 7. პირფერი, ცბიერი; 8. ქიმიური ელემენტი; 12. წვრილი ფული ინგლისში; 14. ჩასაბერი საკრავი; 16. ტომრისებრი ბადით აღჭურვილი გემი; 17. ციტრუსების ჯგუფის ტანდაბალი ხე; 19. სასწორის თეფში; 20. ინდოელი ქალის კაბა.

შეადგინა ოლივერ კოხიამ